წელიწადი მესამე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 17 აპრილი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 14

## ჟურნალის შინაარსი

ჩინეთის რევოლიუცია, მსოფლიო იმპერიალიზმი და მეორე ინტერნაციონალი—**ყარიბი**; ისტორიის განაჩენი—**ალ. ხელაძე**; მშრომელი ქალი და სოციალური დაზღვევა—**ალექსანდრა ლლონტი**; კიდევ ინტელიგენციის შესახებ—**ზ. ჩახვაძე**; რას გვავალებს დღევანდელი მომენტი—**ოლიმპიადა ბაქრაძე**; ახალი თაობის აღზრდა—**ს. მესტიაშვილი**; პოლიტიკური ბრძოლა თუ ჩხირკედელაობა?—**მოსე ჭყონია**; ბრძოლა ქლექთან ჩვენში და დასავლეთ ევროპაში—**ექ. გ. რუსიშვილი-ყორჩიბაში**; თელავის მაზრაში—**ს. გვიმრაძე**; ცალიერ სიტყვებზე საქმით ვუპასუხებთ—**ილ. ფალავა**; რკინის გზის ცხოვრებიდან—**რკინისგზელი**; საუბარი პროლეტარულ პოეზიაზე—**ივ. გომართელი**; საკლუბო მუშაობის ირგვლივ—**ყარაიუსუფ**.

# ჩინეთის რევოლიუცია, მსოფლიო იმპერიალიზმი და მეორე [illegible]ნტერნაციონალი

ჩინეთში ჩვენ მოწამენი ვართ ისეთი მოვლ[illegible], რის მსგავსიც კაცობრიობას ჯერ არ უნახავს. კლას[illegible] შორის ბრძოლა, რომელიც ისტორიის მამო[illegible]ებელ ღერძს შეადგენს და, რომელსაც ყოველგან და ყ[illegible]თვის მიუღწევია თავისი განვითარების უალრეს [illegible]ილამდე—რევოლიუციამდე,—ჩვეულებრივია კაც[illegible]ობის ისტორიაში. მაგრამ ჯერ ისტორიამ არ იცის ი[illegible] რამ, რასაც დღეს ადგილი აქვს ჩინეთის რევოლი[illegible]ში.

რა ხდება დღეს ჩინეთში?

ოდესღაც უდიდესი კულტურის კერა ჩინეთი დიდი ხანია რაც შეჩერებული იქნა პროგრესის გზაზე, დიდი ხანია რაც მას კულტურისა და პროგრესის გზა გადაუჭრა „განათლებულმა, მაღალ კულტუროსანმა“ ევროპამ და მონობის უღელი დაადგა მას. დიდი ხანია რაც ჩინეთის ხალხს მოუსპეს ადამიანური ცხოვრების შესაძლებლობა, დაიმორჩილეს და საწველ ფურად გადააქციეს იგი ინგლისისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტებმა, რომლებიც ბიბლიითა და სახარებით ხელში შეიპარენ ჩინეთში, ქრისტეს მაღალი მოძღვრების საფარველ ქვეშ ბანგავენ და სწამლავენ ხალხს და თვითონ ეპატრონებიან ამ ქვეყნის მატერიალურსა და სულიერ დიდებას.

ჩინეთის ხალხმა ბევრი ითმინა, მაგრამ ბოლოს მან ვერ აიტანა ასეთი მდგომარეობა. მის წინ მთელი თავისი საშინელებით დაისვა ყოფნა-არყოფნის საკითხი. ის ან უნდა მოსპობილიყო, ალგვილიყო პირისაგან ქვეყნისა და თავისი ოფლით და სისხლით მორწყული . ქვეყანა მტრებისთვის დაეთმო, ან და იარაღით ხელში გამოსულიყო და თავისი სულთამხუთავები ჩინეთის ტერიტორიიდან გაეგდო.

ხალხმა უკანასკნელი გზა აირჩია. მან იარაღი აისხა და ბრძოლის ველზე გამოვიდა თავისი ქვეყნისა და ნაციონალური სახის დასაცავად. მაგრამ ნაცია ხომ ერთი ინტერესის მტარებელი ორგანო არ არის. ამ ნაციის მდიდარი ნაწილი, რომელიც სხვის ქვეყნის იმპერიალისტების ბატონობის დროსაც თავს ჩინებულად გრძნობენ, სულაც არ იყო დაინტერესებული ჩინეთის ხალხის გამოღვიძებისა და ამოძრავებაში. პირიქით, ხალხის ეს ნაწილი უცხო ძალაში ხედავდა თავისი გავლენისა და დიდების წყაროს. ის ხედავდა, რომ მის ინტერესებსაც ისე ემუქრებოდა რევოლიუცია, როგორც უცხო იმპერიალისტებისას.

თვით ჩინეთის ხალხის სასიცოცხლო ინტერესების ასე დაყოფას თავისთავად უნდა მოყოლოდა სამოქალაქო ომი და ის მართლაც გაჩაღდა. რევოლიუციის ცეცხლით აღტყინებულმა ხალხმა იარაღით ხელში დაამარცხა შინაური მტრები და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა... მაგრამ ეს არ აპატიეს მას უცხო ქვეყნის იმპერიალისტებმა, რომლებმაც რევოლიუციაში სამართლიანად დაინახეს ჩინეთში თავისი ბატონობის დასასრული... და მათ წარბ-შეუხრელად ჩაერიენ ჩინეთის ხალხის „შინაურ საქმეებში“, ისინი ენერგიულ მონაწილეობას იღებენ ჩინეთის რევოლიუციაში, შეუბრალებლად ჟლეტენ არა თუ მებრძოლ ხალხს, არ ინდობენ მოხუცებულებსა და ბალღებსაც კი. სამი უდიდესი სახელმწიფო: ინგლისი, იაპონია და „დემოკრატიული“ შეერთებული შტატები სამხედრო ტეხნიკის უკანასკნელი საშინელებით დგანან ჩინეთის ტერიტორიაზე და მუსრს ავლებენ რევოლიუციონურ ხალხს.

ძნელი წარმოსადგენია მეორე რევოლიუცია, რომელიც ასეთ პირობებში მომხდარიყოს. ჯერ, რამდენადაც გვახსოვს, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ასე აშკარად არ აუხდიათ ნიღაბი, ასე არასოდეს არ გაშიშვლებულან. ცნობილია, რომ 1905 წელს, რუსეთის პირველი რევოლიუციის დროს, ნიკოლოზ მე-II ჰქონდა მოლაპარაკება

ვილჰელმ მეორესთან რევოლიუციის ჩაქრობის მიზნით, დახმარების შესახებ. ისიც ვიცით, რომ გერმანიის იმპერატორს ამის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ მან ვერ გაბედა ასე აშკარად რევოლიუციონური რუსეთის წინააღმდეგ გამოლაშქრება. მას შეეშინდა, როგორც რევოლიუციონური რუსეთის, ისე ევროპის საზოგადოებრივი აზრისა და კიდევ უფრო მსოფლიო პროლეტარიატისა და თვით გერმანიის ძლიერი სოციალ-დემოკრატიის რისხვის.

სულ ოციოდე წელიწადი გავიდა მას შემდეგ და ამ დროს განმავლობაში რა დიდი ნაბიჯი გადაუდგამს წინ მტაცებლობისა და ყაჩაღობის გზაზე მსოფლიო იმპერიალიზმს, როგორ გაზრდილა და დავაჟკაცებულა იგი, როგორ შემოსცლია მას ის გამჭვირვალე სამოსელი, რომელიც რამოდენიმეთ მაინც ფარავდა მის ნამდვილ სახეს, მის მტაცებლურ, მგლურ ინსტინკტებს!

ძველად, ბარბაროსობის დროს, ყველა სახელმწიფო ემორჩილებოდა რაღაც კანონს. არც ერთი მათგანი არ შეიჭრებოდა სახელმწიფოში მიპარვით, მგლურად, ომის გამოუცხადებლად. ასეთი რამ, მაშინაც სასირცხო საქმეთ იყო აღიარებული. ძველი რომი ომს მაინც უცხადებდა მოწინააღმდეგეს, წინადადებას აძლევდა მას დათმობაზე წასულიყო, საქმე მორიგებით, უსისხლოთ მოეგვარებია და თუ იგი ამას არ მოისურვებდა, თავდაცვისათვის მაინც შეეძლო მომზადებულიყო. ძველი რუსეთის ბარბაროსი თავადი სვიატოსლავი ერთგვარ რაინდულ კანონს ემორჩილებოდა. ის ყოველთვის უთვლიდა მტრებს: **иду на вас! Готовься!** — (მოვდივარ შენს წინააღმდეგ, მოემზადე! დღეს, მეოცე საუკუნეში, განათლებული ქვეყნების იმპერიალისტებს ეს პრიმიტიული რაინდობაც უკუ უგდიათ. ისინი მიპარვით, მოტყუილებით შედიან სხვის ქვეყნებში, სარგებლობენ მობინადრე ხალხებს შორის კლასობრივი განხეთქილებით, იღებენ მონაწილეობას სხვისი ქვეყნის სამოქალაქო ომში, აწარმოებენ უსაშინელეს ნადირობას რევოლიუციონურ ხალხზე, ყოველის ღონით ცდილობენ მისი სარჩო-საბადებლის ხელში ჩაგდებას.

და ასეთი საშინელება ხდება არა ღამის სიბნელეში, ეს ხდება დღისით, მზის სინათლეზე, მთელი ქვეყნის დასანახავათ. ამას ხედავს მთელი ბურჟუაზიული ქვეყანა, რომლის იუსტიცია მშიერ-მწყურვალ ადამიანს ციხითა და კატორღითა სჯის წვრილმანი ქურდობისა და „კანონიერების“ დარღვევისთვის და ამ უდიდეს ყაჩაღებს კი ერთი სიტყვითაც არ ამხელს, უბრალო პროტესტსაც კი არ აცხადებს მათი მხეცური მოქმედების წინააღმდეგ. პირიქით: დანარჩენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს კიდევაც ეხარბებათ აზიაში მოკალათებული იმპერიალისტების ასეთი ყაჩაღური როლი; ისინი მხოლოდ იმას დარდობენ, რომ თვითონ ვერ ჩაიგდეს ხელში ეს გემრიელი ლუკმა, რომ ამ საქმეში სხვებმა მოასწრეს... და ყოველის ღონით ცდილობენ მსოფლიო ბანდიტებს ასიამოვნონ, მათი გული მოიგონ და მით ნადავლში ცოტა წილი მაინც მიიჩნიონ...

ის, რაც სასტიკად აღკრძალულია კერძო პირისთვის, მშიერი ადამიანისთვის— ქურდობა, მტაცებლობა, ბოროტება,—ნებადართულია დიდი და ძლიერი სახელმწიფოებისთვის. ასეთია ბურჟუაზიის მორალი. და ასეთი სახელმწიფოები, ასეთი მორალის მატარებელი ბურჟუაზია, რა თქმა უნდა, გულდამშვიდებით ვერ იქნება ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, რომელმაც წესი აუგო ბურჟუაზიულ მორალს, რომელმაც ნიღაბი ახადა მსოფლიო იმპერიალიზმს და სააშკარაოზე გამოიყვანა იგი.

ბურჟუაზიამ იცის რას შვრება. ის კარგად ხედავს, რომ დადგა განსჯა-განკითხვის დღე, როცა, ან თვითონ უნდა დაიღუპოს, ან მტერი დაღუპოს. ის მთელი თავისი ძალღონით იცავს თავის არსებობას, ის ასრულებს თავის დანიშნულებას.

მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ: თუ როგორ ასრულებს თავის დანიშნულებას მეორე ინტერნაციონალი? რას ფიქრობს ამ საშინელ გადამჭრელ მომენტში მისი მრევლად შესული სოციალისტური პარტიები? რატომ არ გაისმის მათი ხმა დღეს, როცა მსოფლიო იმპერიალიზმი ასე უსირცხვილოთ, ასე დაუზოგველად ახრჩობს სისხლის მორევში თავისუფლებისთვის მებრძოლ ჩინეთის ხალხს? სად ბრძანდებიან დღეს მეორე ინტერნაციონალის ლიდერები, მისი იდეოლოგები? სად არიან ისინი ამ საშინელ მომენტში, როცა იმპერიალიზმი შეტევაზე გადადის ყველა ფრონტზე, როცა ის სიკვდილით ემუქრება სოციალიზმსა და სოციალიზმის მტარებელ კლასებს? მათ არ შეიძლება არ იცოდენ, რომ დღევანდელი მომენტი უფრო საშიშარია ყველა სოციალისტური პარტიებისთვის, ვიდრე ეს იყო წარსული მსოფლიო ომის დაწყების დროს, როცა მსოფლიო იმპერიალიზმი გარეგნულად მაინც იცავდა დეკორუმს. მაშინ კიდევ შეეძლოთ მეორე ინტერნაციონალის შახერ-აზადებს დაეჯერებიათ თავისი გულუბრყვილო მრევლი იმაში, რომ ომი სტიქიურად მოხდა და მან სრულიად ინსტინქტიურად ჩაითრია სოციალისტური პარტიებიო. ჩვენს შორისაც ბევრი იყო მაშინ ისეთი გულუბრყვილოები, რომლებსაც გულრწფელად სჯეროდათ მეორე ინტერნაციონალის უდიდესი იდეოლოგის კარლ კაუტსკის მიერ გერმანიის ს.-დ. პარტიის სამარცხვინო როლის გასამართლებლად გამოგონილი სოფიზმები... მაგრამ დღეს ასეთი სოფიზმებით თავის მართლება ყოვლად შეუძლებელია. წარსული იმპერიალისტური ომის შემდეგ საკმაოთ დიდი დრო გავიდა. ამ დროს განმავლობაში მსოფლიო პროლეტარიატმა და საერთოდ კაცობრიობის მშრომელმა ნაწილმა ბევრი რამ ახალი ისწავლა. მან კარგათ შეიგნო, როგორც თავისი, ისე თავისი ლიდერების შეცდომები. ამ დროს განმავლობაში მან დედამიწის ერთ მეექვსედზე მაინც დაინახა თავისი იდეალების განხორციელება. მსოფლიო პროლეტარიატი დღეს მდიდარია რუსეთის გამოცდილებით, მდიდარია ოქტომბრის ბრძოლის მეთოდით. ამიტომ დღეს იეზუიტური სოფიზმებით მას ვერავინ ვერ მოატყუებს. დღეს ისეთი მომენტია, როცა ყველამ გარკვეული ადგილი უნდა დაიჭიროს, როცა ყველამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩინეთის რევოლიუციის საქმეში, რაც იმავე დროს მთელი ქვეყნის განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმის სამსახურს შეადგენს. დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელი ნაწილი უნდა დაირაზმოს და ირაზმება კიდეც მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ გვწამს, რომ მსოფლიო პროლეტარიატი და საერთოდ კაცობრიობის მშრომელი ნაწილი, დაამარცხებს თავის კლასობრივ მტერს და ქვეყნად დაამყარებს ბედნიერებას; ჩვენ გვჯერა, რომ აქ, ამ ბრძოლაში, მოწინავე რიგებში იქნებიან ის რევოლიუციონური პარტიებიც, რომლებიც დღეს, რაღაცა ბრმა გარემოებით, მეორე ინტერნაციონალის მრევლს წარმოადგენენ.

მაგრამ სად ბრძანდებიან დღეს მეორე ინტერნაციონალის ქედ-მაღალი ბელადები? რათ არ ისმის მათი ბრძოლის ყიჟინა? მაგრამ რას ვამბობთ: დღეს მათი უმეტესობა მსოფლიო იმპერიალიზმს ეხმარება, მის წისქვილზე ასხამს წყალს. აიღეთ თუნდაც ინგლისის მუშათა „ლიდერი“ რამზეი მაკდონალდი. ის დღეს ჩრდილო-ამერიკაში მოგზაურობს, მართავს მიტინგებს და მუშებს მოუწოდებს საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შესაქმნელად. ასე იქცევიან სხვა „ლიდერების“ უმეტესობაც... მაგრამ მათ კოლექტიურადაც ვერ ნახეს ერთი გარკვეული გზა. მათ, მუშათა კლასის თვალების ასახვევად, კიდეც სცადეს რაღაც პროტესტის მსგავსი რამე ეთქვათ. მაგრამ ეს მათი პროტესტი დამფრთხალი ადამიანის ხმას უფრო გავს, ვიდრე მებრძოლისას, მათი მოთხოვნა უფრო თხოვნაა, ვიდრე მოთხოვნა. მათი დადგენილება უპასუხისმგებლო ადამიანის სურვილებს უფრო ჰგავს, ვიდრე რევოლიუციის და რევოლიუციონური პარტიების ხელმძღვანელებისას.

აი მაგალითი: 12 და 13 თებერვალს პარიზში არტურ ჰენდერსონის თავმჯდომარეობით შესდგა მეორე ინტერნაციონალის ეგზეკუტივის კრება, რომლის უმთავრეს საგანს შეადგენდა **ომის საშიშროების საკითხი** (ჩინეთში,

ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში). ეგზეკუტივმა მიიღო სპეციალური კომისიის მიერ გამომუშავებული „მთელი ქვეყნის მუშებისა და სოციალისტებისადმი მიმართვა“. ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ „მიმართვის“ მხოლოდ მთავარ დებულებებს, რომელიც შეეხება ჩინეთის რევოლიუციას.

„ეგზეკუტივი მიაქცევს მთელი ქვეყნის მუშების ყურადღებას უპირველესად ჩინეთის ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას, რომლის წარმატებას ხელს უშლიან კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები ინგლისის მთავრობის მეთაურობით. ეგზეკუტივი მოუწოდებს სოციალისტურ პარტიებს და შეკავშირებულ პროლეტარიატს ყოველივე საშუალებით მხარი დაუჭირონ ჩინეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას და წინაალუდგენ ევროპა-ამერიკის კაპიტალისტური მთავრობების ცდას ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩაერიონ რეაქციონულ გენერლებისათვის მხარის დაჭერით. თუ ჩინეთში შეიარაღებული ჯარების გაგზავნით“.

მეორე ინტერნაციონალის ეგზეკუტივის ასეთი დადგენილების შემდეგ მთელი სამი თვე გავიდა. ამ დროს განმავლობაში ჩინეთში მოხდა ის ყოვლად დაუჯერებელი ამბები, რომელზეც ჩვენ ზემოთ ვთქვით. იმპერიალისტური სახელმწიფოები არა თუ „ჩინეთის შინაურ საქმეებში“ ჩაერიენ, მათ ლამის სისხლის მორევში ჩაახრჩონ თავისუფლებისათვის მებრძოლი ჩინეთის ხალხი. რას შვრება ამ დროს მეორე ინტერნაციონალი? იცავს თუ არა იგი თავის დადგენილებას? არა. ის სირაქლემასავით იმალება ამ გადამწყვეტი ომის დროს, ის არ იცავს თავის საკუთარ დადგენილებას. კიდევ მეტი: ის პირდაპირ იხრება პროლეტარიატის მტრებისაკენ. მან გამოთქვა თავისი სურვილი, თქვა თავისი უპასუხისმგებლო სიტყვა. მან თავისი მოვალეობა შესრულებული დაინახა და დღეს სდუმს, მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე ვალმოხდილი..

მაგრამ არა, თავის „მიმართვა“-ში მან ერთი გამოსავალიც მისცა მსოფლიო პროლეტარიატს, ერთი გზაც დაანახვა მას. რაში მდგომარეობს ეს გზა?

**„ყველა ქვეყნის სოციალისტები და მუშები ვალდებული არიან... მოუწოდონ თავიანთ მთავრობებს მოსთხოვონ ერთა ლიგას ამ საშიშროების წინააღმდეგ გამოსვლა“.**

ასეთია მათი გამოსავალი გზა. ვაი სირცხვილო, სად არიან სიწითლენი შენი? მეორე ინტერნაციონალი მსოფლიო ბანდიტების წინააღმდეგ ამავე ბანდიტების მიერ დაქირავებულ ლაქიებს მიმართავს: „ამ საშიშროების წინააღმდეგ გამოდით“.

ნუ თუ აქედან აშკარად არა ჩანს, რომ მეორე ინტერნაციონალმა უღალატა მუშათა საქმეს, რომ მან უკუაგდო ბრძოლის გზა, რომ ის გადაიქცა იმპერიალიზმის უფასო დამატებათ, იმპერიალისტური სახელმწიფოების დამხმარე ორგანოთ? მის მაგივრად, რომ მსოფლიო პროლეტარიატი საბრძოლველად გამოსულ იმპერიალისტების წინააღმდეგ დარაზმოს, ის მას ურჩევს: შენს საკუთარ სახელმწიფოებს თხოვე, რომ მათ ერთა ლიგა თავისივე ინტერესების წინააღმდეგ გამოიყვანოსო. სად არის დღეს პროლეტარიატის ნაცადი ბრძოლის ძველი მეთოდები? დღეს ის დავიწყებულია. მეორე ინტერნაციონალი დღეს კლასთა შორის მშვიდობიანობასა და სათნოების თეორიას იცავს...

ჩვენთვის ერთი რამ აშკარაა: დღეს თვით მეორე ინტერნაციონალში შემავალი სოციალისტურ პარტიებში უნდა მოხდეს რევოლიუცია და სამოქალაქო ომი. უნდა დაეცეს და მოისპოს პროლეტარიატის ეს ყოვლად უვარგისი და ყოვლად მავნებელი ორგანო. მუშათა კლასი უნდა განთავისუფლდეს ასეთი ხელმძღვანელებიდან. უამისოთ წარმოუდგენელია მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვება.

**ყარიბი.**

# ისტორიის განაჩენი

გაზეთ „კომუნისტის“ 83 ნომერში დაბეჭდილია შემდეგი წერილი:—„რა ხდება ქართულ ემიგრაციაში“, რომელშიც მოთხრობილია ყალბი ჩერვონცების ისტორია.

საქმე შემდეგშია: პარიზში სასამართლოს წინაშე, როგორც დამნაშავე, წარსდგა, თურმე „ცნობილი“ თავადი **ქაქუცა ჩოლოყაშვილი,** ნოე რამიშვილის მიერ ქართველ ხალხის ეროვნულ გმირად მირონცხებული და მონათლული. ეს „ეროვნული გმირი“ რომელიც ექს-დემოკრატიულ მთავრობას თავის პენსიაზე ყავს აყვანილი, ყალბი ჩერვონცების გადახურდავებისთვის დაუტუსაღებია პარიზის პრეფექტურას და სამართალში მიუცია, როგორც წმინდა წყლის აფერისტი. მასთან ერთად დამნაშავის სკამზე ყოფილან იმავე საქმეზე ვიღაც ნიჟარაძე, ერისთავი და სიმონოვიჩი (უკანასკნელი ცნობილი რასპუტინის ყოფილი მდვანი).

ჟორდანია-რამიშვილის „დემოკრატიული მთავრობას“ ენერგიული ზომები მიუღია თავისი სასახელო გმირის დასახსნელად, ამ მიზნით მას მიუმართავს საფრანგეთის გამოჩენილ სოციალისტებისთვის და ჩოლოყაშვილის დამცველათ გამოუყვანიათ დეპუტატი საფრანგეთის პარლამენტის ს.-დემოკრატიული ფრაქციის ერთი ლიდერთაგანი, „ნაციათა ლიგაში“ საფრანგეთის წარმომადგენელი, ადვოკატი პოლ-ბონკური.

საინტერესოა ქაქუცა ჩოლოყაშვილის განცხადება სამსაჯულოს წინაშე:— „მე ბოლშევიკების მიერ დევნილი ემიგრანტი ვარ. მე მოვხვდი საგანგებო კომისიის აგენტების მიერ მოწყობილ მახეში. ბოლშევიკებმა იცოდენ ჩემი როლი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში და ამიტომ გადაწყვიტეს ჩემი დაღუპვა, რათაც არ უნდა დაჯდომოდათ. მე ავიღე ფული, რომელიც უნდა მოხმარებოდა რევოლიუციონურ პროპაგანდას. სწორეთ ამან დამღუპა მე“..

საფრანგეთის ბურჟუაზიულმა სასამართლომ ჩოლოყაშვილი გაამართლა. ჩვენ, რასაკვირველია, აქ არ გვაინტერესებს ჩოლოყაშვილის პიროვნება, როგორც ასეთის, და არც მისი აფერისტული კომბინაციები. ჩოლოყაშვილებს სწორეთ ასეთი მოღვაწეობა შეუძლიათ; ეს ხალხი, მხოლოდ ასეთი საქმისთვის გაუჩენია ბუნებას, მათ მეტი არაფერი მოეთხოვებათ. ჩვენ, არც ის გვაკვირვებს, რომ დამნაშავე ჩოლოყაშვილი, საფრანგეთის ბურჟუაზიის კლასიურმა სასამართლომ გამართლა. ოღონდაც საფრანგეთის ბურჟუაზიამ გაიგოს რომ, კომუნისტებს ებრძვი და მისთვის სულ ერთია ვინა ხარ: პატიოსანი მოქალაქე, თუ პროფესიონალური ბანდიტი! მით უმეტეს თუ ასეთ ბანდიტს იცავს ისეთი დიდი კაცი, როგორიც არის პოლ-ბონკური. დიახ, ჩვენ სულაც არ გვაინტერესებს ამ მხრით ეს პროცესი და მისი გმირი ჩოლოყაშვილი. მხოლოთ ჩვენ აქ სხვა რამეზე გვინდა ვესაუბროთ მკითხველ საზოგადოებას. ჩვენ აქ გვინდა ვიცოდეთ: რა აქვთ საერთო ამ ტიპიურ ნამდვილ ავანტიურისტსა და ყოფილ თავადთან ჩვენს ყოფილ ამხანაგებს?

როცა ჩოლოყაშვილები აჯანყებას აწყობდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, როცა ჩოლოყაშვლის რაზმი სოფლად ხოცდა კომუნისტებს, ეს ყოველივე გასაგები იყო — ყოფილი მემამულე—ფეოდალი, ყოფილი ოფიცერი მეფის მთავრობისა, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდა იმ პრივილეგიების დაკარგვას, რაც მას და მის წოდებას რევოლიუციამ მიაყენა.

მაგრამ, რა აქვს მასთან საერთო ჩვენ ყოფილ ამხანაგებს, ქართველი ემიგრაციის მუშურ-გლეხურ ნაწილს? როგორ უდგებიან გვერდში ქაქუცა ჩოლოყაშვილს თუ მათ კიდევ შერჩენიათ სოციალისტობისა და რევოლიუციონერობის ნატამალი?

მაგრამ მათ აერთიებს თავად ჩოლოყაშვილთან „საერთო ფრონტი: „დამოუკიდებელი“ საქართველოს აღდგენის საკითხი. ეს ხალხი ერთხელვე ასცდა სწორ ხაზს,

კლასიურ ბრძოლის გზას, და დაეშვა თავდაღმართზე და შეუჩერებლათ მიექანება ძირს პოლიტიკურ ჭაობისაკენ და იქ კი მეტს ვის მონახვენ თუ არა ჩოლოყაშვილებსა და სხვა მისთანა ბანდიტებს.

ამ ყოფილმა რევოლიუციონერებმა და სოციალისტებმა, რომლებმაც კარგი ხანია რაც იჯმნეს სოციალიზმისა და რევოლიუციიდან, მეტი რა გზა დარჩენიათ, თუ არა მეფის ყოფილ ოფიცრებთან საერთო ფრონტი? ქართველ ემიგრაციაში თქვენ ნახავთ როგორც ჩოლოყაშვილებს ისე ერისთავებს, დადიანებს.. ეს ხალხი დღეს „იდეიისთვის", „ქვეყნის ინტერესებისთვის" დასჯილი ხალხია. მათ გვერდს უმშვენებენ ჩვენი ყოფილი ამხანაგები. ამ ყოფილ ხალხს ისე აბნევია გზა-კვალი, რომ მტერს მოყვარედგან ვერ არჩევს. ის ხალხი, რომელიც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში ჩვენთან ერთად ებრძოდა თვითმპყრობელობას და ფეოდალურ წრეებს—ჩოლოყაშვილ-დადიანებს და მათ მოდგმას, დღეს კი მათთან ერთად გვებრძვიან ჩვენ, და სიხარულით შენატრიან იმ მომენტს, როდესაც დაკრავს საათი და საერთაშორისო რეაქცია წითელ დროშას ძირს დაანარცხებს და მშრომელ ხალხს სისხლის მორევში შეაცურებს. ფაშისტი ნ. რამიშვილი მაშინ იჯერებს გულს: ის ჩოლოყაშვილთან ერთად ემაფოთზე წარგზავნის, რევოლიუციის საუკეთესო შვილებს. მაგრამ ნუ თუ იმდენათ გულუბრყვილო არიან დღეს მხოლოდ ყოფილი, მაგრამ ოდესღაც რევოლიუციისთვის მებრძოლი ჩვენი ყოფილი ამხანაგები, რომ მათ გონიათ: ჩოლოყაშვილები მათ კარგ დღეს დააყენებენ? სცდებიან ეს ყოფილი ადამიანები. ცოფმორეული ფაშიზმი ერთის დაკვრით გაუსწორებს ანგარიშს როგორც ნამდვილ რევოლიუციონერებს, ისე ყოფილებსაც. ამას სავსებით ადასტურებს მუსოლინის და ხორტის პრაქტიკა.

ამასვე ადასტურებს უცხოეთში ქართულ ემიგრაციის ცხოვრების პრაქტიკა. თვითონ 4 წელი ვიყავი ემგრაციაში და თავის საკუთარი თვალებით ვნახე ის აურზაური, სისინი და ვაკხანალია, რომელსაც აწარმოებდენ ქართული ს.-დემოკრატიის წინააღმდეგ ის წრეები ქართველი ემიგრაციისა, რომლის მეთაურები გახლდათ ემიგრაციაში: გვაზავები, დადიანები, ჩოლოყაშვილები, დადეშქელიანები და სხვა ასეთები. ესენი არ ერიდებოდენ ს.-დემოკრატების შეურაცყოფას სიტყვით და მოქმედებით. რუსეთის შავრაზმელებთან შეკავშირებული, შეხმატკბილებული შავ დღეს აყენებდენ ქართველი ემიგრაციის ს.-დ. ნაწილს. მაგალითები გნებავთ? ინებეთ, პრაგაში ს.-ფ. მგალობლიშვილს თავდზე დაესხა ქართველი ყოფილი ოფიცრების ერთი წრე, ყოფილი ოფიცერის ორჯონიკიძის მეთაურობით. სცემეს და დანით მძიმეთ დასჭრეს იგი. ქართველ მენშევიკებს პრაგაში, ბერლინში, სტამბოლში, პოლონეთში და თვით პარიზში გასაქანს არ აძლევდა ეს ნაძირალა ხალხი. პოლონეთში შეხიზნულმა ქართველმა ოფიცრებმა ძალით გამოაძევეს იქედგან ემიგრანტი მენშევიკი ვალოდია გოგუაძე. იმავე ნაძირალობმა პარიზის კოლონიის ერთ-ერთ კრებაზე მოითხოვა „მთავრობის თავმჯდომარე" ნ. ჟორდანიას გადაყენება და მის ადგილზე ღენერალი კვინიტაძე წამოაყენეს. მენშევიკ რუბენ ყიფანს საჯაროთ მიაყენა ხელით შეურაცყოფა ყოფილმა თავადმა დადეშქელიანმა. უდიერი ლანძღვა-გინება და ფიზიკური შეურაცყოფა მენშევიკებისა ყოველდღიური მოვლენაა ემიგრაციაში. ქართველი ფაშისტების ასეთი რისხვა, რასაკვირველია, მიმართულია მენშევიკების პარტიის მუშური ნაწილისა და საერთოდ მენშევიკ ინტელიგენტების იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც თავის წარსული სოციალისტური და რევოლიუც. ტრადიციების მეოხებით დღესაც ვერ ახერხებს ქართველ ფაშისტებთან „ძმაბიჭობას". ქართველ ფაშისტებს არ მოსდის უკმაყოფილება მაგალითად ნ. რამიშვილთან, რომელთანაც მათ აერთიანებს საერთო მიზანი—კომუნისტების, სოციალიზმისა და რევოლიუციის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა.პირიქით,ეს ფაშისტები დიდ სამსახურს უწევენ ნ. რამიშვილს, ხშირათ არა ერთი და ორი ოპოზიციონერი მენშევიკი გაუტყეპიათ მათ: „თქვენ, ოპოზიციას მისთვის იწყებთ, რომ ბოლშევიკებთან დაბრუნება გინდათო".

და ასეთ ხალხთან ჩვენ ყოფილ ამხანაგებს აკავშირებს საქართველოს „განთავისუფლების" საერთო ფრონტი.რა მწარე ირონია?! ჩოლოყაშვილის „განთავისუფლებული" საქართველო!

გაექცენ რა სოციალისტურ რევოლიუციას ჩვენი ყოფილი ამხანაგები—ჩოლოყაშვილის ბარიკადიდან გვებრძვიან ჩვენ. იგივე ჩოლოყაშვილები მათ ყოველდღე უპარტყუნებენ თავში. მაგრამ ამ შეურაცყოფას მოთმინებით იტანენ ისინი; ამას მათ იძულებს „საერთო ფრონტის" ინტერესები, ამ ფრონტის შენახვას უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს თვით მენშევიზმის ლიდერი ნ. ჟორდანია. მას სურს დაანახვოს ევროპის ბურჟუაზიას, რომ, საქართველოს ყველა კლასები ერთმანეთში მორიგებულია, რომ თვით მენშევიკები, მართალია, სოციალისტები არიან, მაგრამ, მისავით სოციალისტები—ისეთები რომელსაც, კარგად იცნობენ ევროპაში მმართველი წრეები, როგორც ქკუიან ხალხს, სახელმწიფოსა და კულტურის დამცველთ.

დღეს ნ. რამიშვილი და მისი ს.-დემოკრატიული ემიგრაცია საერთო ფრონტით შეკრულია, არა მარტო ქართველ შავრაზმელებთან, არამედ მსოფლიო რეაქციასთან. ყოველივე გამარჯვება რეაქციონური ძალებისა მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში იწვევს დიდ აღტაცებას ამ ყოფილ სოციალისტებში. პირიქით, რევოლიუციისა და სოციალიზმის გამარჯვება ახელებს და აღიზიანებს მათ.

როცა ინგლისში მუშათა პარტიამ გაიმარჯვა და **მაკდონალდი** პრემიერათ მოგვევლინა, ს.-დ. ემიგრაციაში უკმაყოფილონი დარჩენ: ჩვენთვის კონსერვატორი კერზონი უფრო მისაღები იყო, ის უფრო გაიგებდა ჩვენ საკითხს ვიდრე ინგლისის მუშები და მისი ბელადებიო.

ევგენი გეგეჭკორი „ბრძოლაში" სიხარულით აღნიშნავს ჩინეთის მოძრაობის მომავალ დამარცხებას. მოქ. გეგეჭკორს იმისი იმედი ასულდგმულებს, რომ „ინგლისის ბურჟუაზია უთუოდ შესძლებს ჩინეთის ხალხთან საერთო ენის გამონახვას; ამით ის მოსპობს იქ ბოლშევიკების გავლენას და მოსკოვი დამარცხებული გამოვაო"... უხაროდეს მოქ. გეგეჭკორს და მის ამხანაგებს: ინგლისმა უკვე გამონახა ჩინეთის ხალხთან საერთო ენა. მან მიწასთან გაასწორა ჩინეთის ქალაქი ნანკინში ამოსწყვიტა 7000 ჩინელი მოსახლეობა, არ დაინდო, არა თუ მებრძოლი ჩინელები, მუსრი გაავლო ბავშვებს, მოხუცებულებსა და სუსტ დედაკაცებს.

გეგეჭკორი და მისი ამხანაგები, ალბათ, ეხლა კმაყოფილი იქნებიან ჩინეთის დარბევით.

დიახ გეგეჭკორი და ჩან-ძო-ლინი საქმით ერთ წერტილში სცემენ, ერთსა და იმავე მიზანს ემსახურებიან. სიტყვით კი ერთია „სოციალისტი", მეორე—ინგლისის მოსყიდული აგენტი, ჩინეთის ხალხის ჯალათი.

რამ დასცა? რამ დაღუპა ასე ქართველი სოციალ-დემოკრატიული ემიგრაცია? რატომ ასე ჩაიყურყუმალა მან რეაქციის მორევში?

ბოლშევიზმთან ბრძოლამ გადატყორცნა ის რეაქციის ბანაკში და ამ ბანაკში ის სავსებით შეუხმატკბილდა ყველა ჯურის ფაშისტებს. ევროპის ს.-დემოკრატიაც ბურჟუაზიის დამცველია; ისიც ებრძვის კომუნისტურ მოძრაობასა, მაგრამ, ქართველ მენშევიზმთან მისი შედარება შეუძლებელია. ქართველი მენშევიკები ევროპაში ორ ფრონტზე მუშაობენ; ევროპის მენშევიკებს დემოკრატიული სოციალიზმის ენით ესაუბრებიან:—„ბოლშევიზმს დემოკრატული მეთოდით ვებრძოლოთო".. ხოლო მეორე ფრონტზე აკაკი ჩხენკელის დიპლომატიური ხაზით უკავშირდებიან ლონდონის და ვარშავის კაბინეტებს საინტერვენციო გეგმის გასატარებლათ.

მაგრამ, უძლურია საქართველოს მენშევიზმი. უძლურია მისი პატრონი მეორე ინტერნაციონალი. მათი ბრძოლა კომუნიზმთან განწირულია. დღეს ორ ბანაკათ არის გაყოფილი მთელი კაცობრიობა. სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებრძვიან ერთმანეთს ძველი და ახალი ქვეყანა. ახალმა უნდა გაიმარჯვოს, ძველი უნდა დაემხოს. დედა-

მიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე უკვე მედგრად არის აღმართული სოციალიზმის წითელი დროშა.

მაგრამ ეს არ კმარა,ევროპის პროლეტარიატი შესძლებს მის გავრცელებას მთელი ევროპის ტერიტორიაზე...

და ამ დროს, სად ვხედავთ ჩვენს ყოფილ ამხანაგებს, ყოფილ თანამებრძოლებს? ბარიკადის, რომელ მხარეზე? კომუნიზმ-სოციალიზმთან, თუ მის წინააღმდეგ? წითელ დროშასთან, თუ მის წინააღმდეგ? ამ ხალხს ჩვენ ვხედავთ სოციალიზმის მოწინააღმდეგე ბანაკში. სამწუხაროა ეს ფაქტი, მაგრამ მწარე სინამდვილეა იგი. ისტორიის განაჩენით ჩვენი ყოფილი იდეური ამხანაგები და თანამებრძოლები, რევოლიუციის გზას ჩამოშორებულნი, ჩოლოყაშვილების ამხანაგებათ გამხდარან და მასთან ერთად „ანთავისუფლებენ“ ქართველ ხალხს, ესე იგი ავანტიურის მორევში ეზიდებიან მას.

აი როგორ ჩაიძირა მენშევიკების გემი. აი როგორ დაიღუპა ოდესღაც მართლა რევოლიუციონური პარტია. დღეს ამ პარტიას ჩოლოყაშვილები ყავთ მოკავშირეებათ და როდესაც ამ „სახალხო გმირს“ აფერისტობისთვის სამართალში აძლევენ, როგორ უნდა გრძნობდენ თავს ქართველი მენშევიკი ემიგრანტები, თუ მათ კიდევ შერჩენიათ რამე თავისი წარსული რევოლიუციონური დოვლათიდან?

რა გაეწყობა: აქ მათ თავზე შესრულდა ჩვენი ხალხის ბრძნული თქმულება: „რაც მოგივა დავითაო, ისევ შენი თავითაო“...

ალ. ხელაძე.

# მშრომელი ქალი და სოციალური დაზღვევა

კაპიტალიზმმა თავის განვითარების პროცესში წარმოშვა ქალის დაქირავებულ შრომაში ჩაბმა, „სუსტი არსების“ — „ძლიერ სქესის“ წარმომადგენელის გვერდით ფაბრიკა - ქარხნებში მუშაობის საჭიროება. — მანქანამ აზიარა ქალი შრომას და მის ეკონომიურ დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში დიდი რევოლიუციონური როლი ითამაშა. „იმას, ვინც მოისურვებდა მე-19 საუკ. პროლეტარ-ქალთა შრომის ისტორიის დაწერას, მოუხდებოდა მავე დროს მანქანის ისტორიის დაწერაც.მანქანა, როგორც ჯადოქარი თავის მონოტონური ხმაურობით და ცეცხლის სუნთქვით იტაცებდა ოჯახის თბილ კერიდან უამრავ ფერმკრთალ ქალებს და იმორჩილებდა მათ თავის სამსახურსათვის“ამბობს გერმანელი ქალი ლ. ბრაუნი.

მუშა - ქალი მსოფლიო ბაზარზე გამოვიდა, როგორც სამუშაო ხელი და გაიზიარა რა ამ მხრივ მუშა-მამაკაცთან ერთად ყველა ის „ბედნიერებანი“,რომელთაც უხვად აჯილდოვებს ექსპლოატაციაზე დაფუძნებული ბურჟუაზიული მეურნეობა დაქირავებულს, ამავე დროს იგი აღმოჩნდა პროლეტარ მამაკაცზე გაცილებით მეტად ჩაგრული. ულმობელმა ცხოვრებამ მთელი თავის სისასტიკით, წამოაყენა ქალის წინაშე მისი ბუნებრივი დანიშნულება: დედობის, ოჯახური მეურნეობის და პროფესიონალურ შრომის შეთავსების ამოცანა.

როგორც ხედავთ ამოცანა მეტად რთული და განუხორციელებელია არსებულ სოციალ-ეკონომიურ პირობებში. ისედაც წამებული ქალის სიცოცხლე ერთი ორად გაუარესდა...

ქალმა გადაჭრა ეს ამოცანა თავის და ოჯახის ინტერესების შელახვის ხარჯზე. ამიერიდან აღარ არსებობს ის მყუდრო ოჯახი, რომლის სიწმინდეზე ასე ფარისევლურად და უტიფრად გაჰკივის ბურჟუაზიული მორალი. ბავშის აღმზრდელი ამიერდან უფრო გარყვნილი ქუჩაა, თუ კი ეღირსა ბავშს დღის სინათლის ხილვა და არ მოესპო ქორფა სიცოცხლე დედისივე მუცელში იმ ათასგვარ საწამლავებისაგან, რომელიც უხვად გაბნეულია განსაკუთრებით ზოგიერთ წარმოებაში. გერმანელი მეცნიერის რეინის გამოანგარიშებით ტყვიის წარმოებაში მომუშავე ყოველ 100 ქალზე მკვდარ-დაბადებულ ბავშთა შემთხვევამოდის 133, როდესაც ყოველ 100 ქალზე, რომელიც მარტო საოჯახო მეურნეობას ეწევა, ასეთი შემთხვევა მოდის მხოლოდ 43.

მუშა ქალის შრომა გულისხმობს უმთავრესად მძიმე ფიზიკურ მუშაობას, რომელიც მიმდინარეობს ანტიჰიგიენურ და სანიტარულ პირობებში. ყოველივე ეს მას ადრე აჭკნობს და უვარგისად ხდის, როგორც **დედას**, როგორ მშრომელს. ბავშთა სიკვდილიანობის ყოველწლივ ჩქარის ტემპით ზრდამ და დაბადებათა ასეთივე ტემპით კლებამ, რომლის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს დედობის ცუდ პირობებში ჩაყენება, წარმოატივტივა მე-19 ს. თითქმის ყველა კულტურულ ქვეყნების ცხოვრების ზედაპირზე გადაშენების აჩრდილი და ამნაირად უკუღმა შეტრიალდა მალტუსის ცნობილი ფორმულა მოსახლეობის გეომეტრიული პროგრესით ზრდის შესახებ. მუშათა კლასს, ცხადია, უნდა მიექცია ყურადღება ასეთ არა - ნორმალურ მოვლენისათვის და ჩვენ ვხედავთ, რომ მე-19 ს. დასაწყისშივე მას ბრძოლის პროგრამაში შეაქვს დედობის დაცვის მოთხოვნა სახელმწიფოსაგან.

ქალის შრომის დაცვას საფუძველი ჩაუყარა ჩარტისტულმა მოძრაობამ. ამ უკანასკნელის ზეგავლენით 1842 წ. ინგლისში მიღებულ იქნა კანონი ლორდ ეშლისა, რომლის ძალით აკრძალული იქნა ქალისა და ათ წლის მცირეწლოვანებამდე ბავშვების მუშაობა მაღაროებში და საერთოდ მიწის ქვეშ. ეს პირველი ნაბიჯი იყო ქალის ექსპლოატაციის წინააღმდეგ გადადგმული.

დედობის დაცვის პირველი კანონი ქალს უკრძალავდა მშობიარობის პირველ პერიოდში მუშაობას. მაგრამ იგივე კანონი დედაკაცს არ აძლევდა არავითარ ჯილდოს გაცდენილი დროს განმავლობაში. ადვილი გასაგებია, თუ როგორი დაცვასთან გვქონდა ჩვენ საქმე.

მაგრამ დროთა ვითარებაში, მუშათა მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს დაცვა ღებულობს ნორმალურ სახეს; ფართოვდება არე ქალის შრომის დაცვისა. იქმნება სოციალ-დეზღვევის ინსტიტუტი, რომელიც უდიდეს მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს მუშათა კლასისათვის საერთოდ და განსაკუთრებით მშრომელი ქალისათვის. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპები სოციალ დაზღვევის ჩაისახა და ნაწილობრივ განხორციელდა დასავლეთი ევროპის სინამდვილეში გაცილებით ადრე, ვიდრე საბჭოთა კავშირში, (რუსეთში დაზღვევის ჩანასახებს ვპოულობთ 1912 წ.), უნდა ითქვას, რომ ასე ფართე მასშტაბით სოციალ - დაზღვევის მუშაობის წარმოება, დაზღვევის ასეთი სხვა და სხვაობა არსად არ არის.

რატომ არის ძვირფასი სოც. დაზღვევა განსაკუთრებით მშრომელი ქალისთვის? რა მისცა ქალს სოციალ-დაზღვევამ? არსებულ საზოგადოებაში ქალი თამაშობს უმთავრესად ორ როლს: ქალი **მუშა**; ქალი **დედა**. ამიტომ სოც-დაზღვევაც მისთვის ორმაგ დაზღვევას, მისი ინტერესების ორგვარ დაცვას გულისხმობს. როგორც მშრომელი, იგი სარგებლობს დაზღვევის ყველა იმ უფლებებით, რა უფლებებითაც სარგებლობს მუშა - მამაკაცი; მაგალითად: დაზღვევა ავადმყოფობის, დასახიჩრების, უმუშევრობის, ინვალიდობის და სხვა და სხვა...

გარდა ამისა ქალს აქვს სხვა გვარი დაზღვევაც, რომელიც მისი ბუნების სპეციფიური თვისებებიდან გამომდინარეობს.

დედობის უზრუნველსაყოფად არსებობს დაზღვევის შემდეგი ფორმები: 1. დაზღვევა ორსულობისაგან; მშრომელ - ქალს ეძლევა შვებულება 8 კვირით ადრე მშობიარობამდე და 8 კვირით მშობიარობის შემდეგ; ეს ფიზიკურად მომუშავეს; ხოლო გონებით მომუშავის შვე-

ბულების ვადა განისაზღვრება 6 კვირით. თუმც არის ისეთი პროფესიებიც, საცა მოსამსახურე ქალი ეთანაბრება ფიზიკურ მომუშავეს და ამნაირად მისი შვებულების ვადაც 8 კვირა გრძელდება. ასეთები არიან: ელსმენზე მომუშავენი, მოწყალების დები, ექიმები, მასწავლებლები, მემანქანე ქალები და სხვა. შვებულების დროს ქალს ეძლევა დამზღვევ სალაროდან დახმარება მისი ხელფასის სრული რაოდენობით.

თუ გადავავლებთ თვალს ამიერ - კავკასიის ცნობებს დავინახავთ, რომ დედობის დაცვის ამ დარგში დამზღვევი ორგანოები ხარჯავენ საგრძნობ თანხას. გასულ 1925—26 საოპერაციო წლის განმავლობაში ორსულობის და შემდეგი პერიოდის შვებულებისათვის ანაზღაურებულ დღეთა რიცხვი (ამიერ - კავკასიის მასშტაბით) უდრიდა 229.232; დახარჯული თანხა კი 327.717 მან 69 კ. აქედან აზერბეიჯანზე (ნაგულისხმევია ბაქოს რაიონი) მოდის 89.687 დღე—თანხა—155.414 მან. 90 კ.; საქართველოზე —106.562 დღე — თანხა 136.233 მან. 79 კ.; სომხეთზე მოდის 32.983 დღე—თანხა 35.069 მან.

თუ რა დიდი მიღწევაა ეს, ამაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია. წარსულში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც დალოგინება ქალს უხდებოდა დაზგასთან და გასაგებია ასეთ შემთხვევაში თუ როგორი იქნებოდა დედის ან ბავშის ჯანმრთელობა. ასეთი მდგომარეობა დღესაც არის ბევრ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

დაზღვევის მეორე ფორმა, რომელიც ემსახურება დედობის უზრუნველყოფას, არის ერთდროული დახმარება მშობიარეს (როგორც სალაროს მონაწილეთ, აგრეთვე დაზღვეულის ცოლებს), ბავშის მოსავლელად, ან როგორც იტყვიან „ბავშის მზითევი“. ნორმა დახმარების უდრის ადგილობრივ საშუალო ხელფასის 50 პროც. ამიერ-კავკასიის სოც. დაზღვევის ორგანოებს 25—26 საოპერაციო წლის განმავლობაში ამგვარი დახმარების გაცემის შემთხვევა ჰქონია სულ 32.274 და დაუხარჯავს 857.497 მან. 46 კ. აქედან აზერბეჯანზე მოდის 14.351 შემთხვევა, დაიხარჯა 432.557 მან.; საქართველოზე მოდის 12.402 შემთხ. თანხა —313.645 მან. 89 კ. ხოლო სომხეთზე 5521 შემ. თანხა კი 111.744 მან. 57 კ. დაბოლოს არის დახმარება ბავშის საკვებად, რომელიც უდრის ადგილობრივ საშუალო ხელფასის ერთ მერვედ რაოდენობას.

დახმარება ეძლევა სალაროს მონაწილეთ და დაზღვეულების ცოლებს ბავშის დაბადებიდან ვიდრე 9 თვის შესრულებამდე.

ამ მხრივ მდგომარეობა ა.-კ.-ის მაშტაბით შემდეგნაირია: ანაზღაურებულ დღეთა რიცხვი უდრის 7127810; ხოლო დახარჯული თანხა—1602981 მან. აქედან აზერბეიჯანზე მოდის 3.377.318 დღე; დახარჯულია 853.899 მან. 21 კ.; საქართველოზე—2.748.344 დღე; დახარჯულია—562.361 მან. 31 კ.; სომხეთზე—1.002.148 დღე, დაიხარჯა 186.721 მან. 34 კ. სულ დედობის უზრუნველყოფის საქმეს მოხმარდა გასულ 25—26 საოპერაციო წლის განმავლობაში ა.-კ. მაშტაბით 2.788.648 მან. 01 კ. რაიც შეადგენს სოც. დაზღვევის ბიუჯეტის 19,5 პროც. სულ საკავშირო მაშტაბით კი დახარჯულია ამ საქმისათვის 93,4 მილ. ანუ მთელი სოც. დაზღვევის ბიუჯეტის დაახლოებით 18 პრ.

მიღწევები ერთობ დიდია. კონკრეტიულად ამ მიღწევების მნიშვნელობა ქალისათვის შემდეგია: სოციალ-დაზღვევით მშრომელი ქალისათვის იქმნება ისეთი პირობები, რომ მას საშუალება ეძლევა შეიმსუბუქოს ის მძიმე ტვირთი, რომელიც მას დაქირავებულმა შრომამ აკიდა. მას შეუძლია ერთსა და იმავე დროს პროფესიულ შრომასაც მოკიდოს ხელი, რომელსაც მისთვის სამეურნეო დოვლათთან ერთად მოაქვს პიროვნების განთავისუფლება, და აგრეთვე სრული შეძლება ეძლევა თვისი ბუნებრივი დანიშნულებაც—**დედობა**, პირნათლად შეასრულოს. ერთი სიტყვით მას შეუძლია, იყოს თავისუფალ და ასეთივე თავისუფალი მოქალაქე მისცეს საზოგადოებას. ყოველივე ეს ქალს დიდ მოვალეობას აკისრებს. ქალის მონაწილეობა სოც. დაზღვევის მუშაობაში უნდა იყოს მეტად აქტუალური; მეტსაც ვიტყოდი: მშრომელი ქალი ამ ინსტიტუტის მუშაობით უფრო უნდა იყოს დაინტერესებული, ვიდრე მამა-კაცი.

ამ მხრივ ჩვენთან [illegible] ვერ არის რიგზე. 1924 წ. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება ქალის სოც.-დაზღვევის ორგანოების მუშაობაში ჩაბმის შესახებ ჯერ ჩვენში არ არის ხორცშესხმული და ცხოვრებაში გატარებული. თუ ავიღებთ ა.-კ. გასულ 25-26 საოპერაციო წლის ცნობებს, დავინახავთ, რომ დამზღვევ სალაროთა კომიტეტებში არჩეულ ქალთა რიცხვი შეადგენს 17,9 პროც.; აქედან საქართველოზე მოდის 9,9 პროც.; ხოლო აზერბეიჯანზე 8 პროც. მონაწილეობა მეტად უფერული და უსიცოცხლოა!

ვიმედოვნებთ, მომავალი არჩევნები ამ შეცდომას გამოასწორებს, აქტიურობა ქალისა გაიზრდება.

ალექსანდრა ლლონტი.

# კიდევ ინტელიგენციის შესახებ

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე, ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელიც წარსულში აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ ბრძოლაში, დღეს განზედ სდგას დ აწარმოებს „არც იქით არც აქეთ“ ის პოლიტიკას.

სამწუხაროდ, იმ ნაწილმაც კი, რომლის გულწრფელ მუშაობაში ჩვენ იჭვი არ გვეპარება, ჩვენს მიერ ზემოხსენებულ კითხვის დაყენებაში დაუმსახურებელი არალოიალობა დაინახა.

რასაკვირველია, ჩვენ მიზნათ არ გვქონია იმისი მტკიცება, რომ ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი განზედ დგომის პოლიტიკას მისდევდეს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მენშევიკურ ემიგრაციას ერთ-ერთი ძლიერი დასაყრდენი ექნებოდა აქ. საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ძლიერება იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ ინტელიგენციის ფართე წრეები მოვიდა მასთან საქმიან თანამშრომლობის გულწრფელი მიზნით. ინტელიგენციის ეს ნაწილი ჩვენს დაწესებულებებში მუშაობს არა შიშით, არამედ სინდისით და ჩვენის აზრით მზათ არის თავისი შეხედულება აშკარათ გამოსთქვას ყოველ კონკრეტ. შემთხვევაში.

ჩვენ საქმე გვქონდა „პატრიოტიზმის“ ყალბი პათოსით დაავადმყოფებულ ინტელიგენციის მცირე ნაწილთან, რომელსაც ზურგს უმაგრებს ზოგიერთი ისეთი ინტელიგენტები, რომელიც საქართველოს წარსულ პოლიტიკურ მოძრაობაში თვალსაჩინო როლს თამაშობდა.

„თუ პირველ ხანებში უკულმა ქონდა ბევრს წარმოდგენილი საბჭოთა ხელისუფლების მოქმედება, მალე ცხადი შეიქნა, რომ ეს მოქმედება მიმართულია ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ წარმატებისაკენ, რასაც მოწმობენ დაბალ და საშუალო სკოლათა მჭიდრო ქსელი, უმაღლეს სკოლებზედ განსაკუთრებული ზრუნვა, სადაც სწავლობენ სამშობლო ენაზედ,—გზების, არხების, ხიდეების, ფაბრიკების აგება და ასეთი სხვა მრავალი საქმენი.

ეს რომ ასეა, ჰკითხეთ ქართველ მასწავლებლებს,მწერლებს, პროფესორებს, ინჟენერებს, ხლოვნების წარმომადგენლებს და ყველა მათ ვინც საბჭოთა დაწესებულებაში მსახურობენ. **რა უყოთ, რომ მოიპოება თითო-ოროლა გზადაბნეული და ჭკუათხელი „პატრიოტი“, რომელიც ამავე დაწესებულებებში მსახურობენ, ჯამაგირს ღებულობენ, ხოლო ნასადილევს დარბიან აქეთ-იქით, ხხვებს აქეზებენ პროვოკაციაზედ და თვითონ კი მამაცურად... იმალებიან“.**

თუ რამდენად სწორი არის ეს დახასიათება, ეს იმათ უფრო იციან, ვისაც ეს ეხება. აქ მიცემულია ქართული ინტელიგენციის, როგორც ჯანსაღ, ისე მახინჯ სახის დახასიათება. ჩვენდა „საბედნიეროდ“ ეს დახასიათება არ

არის არც კომუნისტის, არც ახალ გზელის მიერ დაწერილი. ის ეკუთვნის სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას, დაწერილი არის ამა წლის 6 იანვარს და მიმართული არის „სრულიად საქართველოს ეკლესიის მორწმუნეთა მიმართ“.

განა ამაზედ მეტი უბიდურება იქნება. ქართული ეკლესიის მსახურნი, რომელნიც ჩვენს დაწესებულებებში უშუალოდ არ მუშაობენ და გარედგან უთვალყურებენ აღმშენებლობით მუშაობას საქართველოში, აღიარებენ, მხოლოდ ეს არ უნდათ დაინახონ იმ „ჭკუა-თხელმა“ „პატრიოტებმა“, რომელნიც ამ დაწესებულებებში მუშაობენ. ისიხი არც ისე ბრმები არიან, რომ ეს აღმშენებლობა ვერ შეამჩნიონ, მაგრამ არ უნდათ ეს საქმიანობა დადებით შემოქმედებათ ჩაუთვალონ საბჭოთა ხელისუფლებას. ქათთვიანთი ანგარიშები აქვთ და ჩვენ სასტიკათ ვებრძვით მათ ამ ანგარიშების რეალიზაციის ცდის წინააღმდეგ.

არის ინტელიგენციის ორი ტიპი, რომელიც პროვოკაციაზედ აქეზებს სხვებს.

პირველ რიგში მიდის ის, ვინც ფარულად აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას, რაზმავს თანამოაზრეებს, ამზადებს მათ „აღთქმულ იდეალის“ აღსასრულებლად, და როდესაც აღსასრულის ჟამი დადგება, მამაცურად უშველის თავის ტყავს. ამ პოლიტიკურ შანტაჟში უნებლიეთ ებმება ის, ვისაც კიდევ „რაიმე იმედი აქვს“ ჟორდანიას დაბრუნების“, ვინც კიდევ რაღაცას მოელის და რომელსაც არ მოსწონს საბჭოთა ხელისუფლება საერთოდ, პოლიტიკურად თავისათვის შეიძლება ანგარიშ მიუცემლად. ისე ერთნაირ ფსიხოზის ქვეშ იმყოფება; მას არ მოსწონს ბოლშევიკები და კიდევ შემაგრებულა ამ პოზიციაზედ. მის ამ პოზ. შეჩერებას ხელს უწყობს მეორე ტიპის ინტელიგენტი, რომელსაც ეს უკმაყოფილო წარსულ პოლიტიკურ საქმიანობიდან იცნობს. ის უყურებს წარსულ პოლიტიკურ ბრძოლებში ნახულ და გაგონილ მოღვაწეებს, რომელნიც პოლიტიკის გარეშე სდგანან; უყურებს მათ სიჩუმეს და ასე ხსნის: ყველაფერი რომ რიგზედ იყოს, ბოლშევიკები რომ საქართველოსათვის რაიმე სასიკეთოს აკეთებდნენ, ისინიც ყოფ. მენშევიკ ახალგზელებსავით იტყოდენ ამას კრებაზედ და პრესაშიო. არის ასეთი სულისკვეთება და ეს არც გასაკვირია, ვინც გუშინ შეგყურებდა, ის დღესაც შენს ნათქვამს კითხულობს შენ მართალია „პოლიტიკის გარეშე“ დააყენე თავი, მაგრამ ამით მეორე მხარეზედ ხელი შეუწყვე პოლიტიკურ საღერღელის აშლას. შენ შეიძლება არ გინდოდეს აქტიური ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ შენი სიჩუმე უკმაყოფილო ელემენტს თავს უყრის და აგდებს იმის ხელში, ვინც პოლიტიკურ შანტაჟს მისდევს და რომელიც ამ ტომოოდინის გაჩირვების დროს ხელიდან გაუფრება.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ პოლიტიკის გარეშე დგომა იგივე პოლიტიკა არის. ამით ჩვენ იმის თქმაც გვინდა, რომ ეს „არც აქეთ არც იქეთ“-ის პოლიტიკა ერთნაირ პროვოკაციას იწვევს გუშინდელ მიმდევრების ერთ წრეში. ამიტომ არის, რომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ყოფილი პოლიტიკურ მოღვაწეთა პოლიტიკაში ჩაბმა. მაგრამ პოლიტკაში ჩაბმა იმას ნიშნავს, რომ კომპარტიაში შეხვიდე? რასაკვირველია არა. პოლიტიკაში ჩაბმა იქნება იმისი აღიარება და გუშინდელ მიდევრებისათვის იმის თქმა, რომ საქართველოში წარმოებულ აღმშენბლობას წარმატების გზით მიყავს მშრომელი საქართველო. ამ სიტყვას გაიგონებს ყველა ის, ვინც ამას უცდის და უარს ამბობს, ამას დაიჯერებს ის და „მოცდის პოლიტიკისაგან“ პირს ჩვენსკენ იბრუნებს.

ეს ჩვენი სურვილი არის, ეს სურვილი ჩვენ მრავალჯერ გამოვსთქვით და არ გვინდა დარჩეს ის ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ამის გაგება არ არის ძნელი თუნდაც იმათთვის, ვინც პოლიტიკაში ჩარევას ერიდება. იმათ მიმართ, ვინც უკვე საქმიან მუშაობას ეწევა, ვისაც არ სურს თავი დააღწიოს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, უნდა ვსთქვა: რომ არ მომხდარა მათი შეხვედრა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

სრულიად დროული იქნება, თუ ინტელიგენციის თავშეყრას შემოვიღებთ პრაქტიკაში. ჩვენი ინტელიგენტური ძალები დაბანდებულია აღმშენებლობის სხვადასხვა დარგებში. კეთდება საქმე, მაგრამ ყოველთვის არ ვიცით, თუ როგორ კეთდება. საჭირო არის მოეწყოს საქმიანი მოხსენებები მიღწევების შესახებ და მათი შეფასება, ამ მოხსენებით ჩვენ მიზნად უნდა დავისახოთ და გადავშალოთ სრული სურათი იმ საქმიანობისა, რომლიც ჩვენში სწარმოებს, შევაფარდოთ მისი დადებითი მხარეები და აღვნიშნოთ ის, რაც ნაკლია.

ეს იქნება ინტელიგენციის საქმიანი კლუბი, სადაც გაიჭედება საღი აზრი. ეს იქნება სამეურნეო პრაქტიკის დაახლოება (СМЫЧКА) მოაზროვნე ინტელიგენციასთან. ასეთი შეხვედრებით და ასეთი კოლექტიურ ნააზრევის დამუშავებით ჩვენ შევძლებთ ალბად იმათ დარწმუნებასაც, ვინც დღეს კიდევ სკეპტიკურად არის განწყობილი. აი ეს იქნება პოლიტიკა,—პოლიტიკა, რომელიც ძირს გამოუთხრის ყოველგვარ ავანტიურისტულ პოლიტიკას და ხელს შეუწყობს საქმიან მუშაობას.

ინტელიგენციამ აქ უნდა გამოაშკარავოს თავისი შემოქმედებითი დაინტერესება.

საჭიროა სიტყვიდან საქმეზედ გადავიდეთ და მით ერთხელ და სამუდამოდ მოუღოთ ბოლო ერთი-მეორის საწინააღმდეგო აზრებს ინტელიგენციის მიმართ.

**ზ. ჩახვაძე.**

# რას გვავალებს დღევანდელი მომენტი

დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ყველას ასეთ საკითხს უყენებს: რომელი გზა სჯობია იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ რევოლიუციის მონაპოვარი?

თვითპყრობელობის დროს ს.-დ. ორივე ფრთას შორის შეურიგებელი ბრძოლა სწარმოებდა; ბოლშევიზმი და მენშევიზმი ერთმანეთს ვერ ურიგდებოდენ და ვერც შეურიგდებოდენ, რადგანაც ორივე ისინი სულ სხვა და სხვა ბუნების მატარებელი იყვენ; სხვა და სხვა გზით მიდიოდენ. როცა ბოლშევიზმი პროლეტარიატის დიქტატურის გზით კვიწვევდა, მენშევიზმი დემოკრატიულ ბურჟუაზიას არ შორდებოდა... ეს ასე იყო, მაგრამ ორივე პარტია შეერთებულის ძალით ებრძოდა საერთო მტერს.

ეს დრო ისტორიას ჩაბარდა. რევოლიუციამ შეწყინვალედ გაიმარჯვა. დღეს სახელმწიფო ძალა-უფლება პროლეტარიატის და მშრომელი გლეხების ხელშია. მთელი ქვეყნის ერთ მეექვსედ ნაწილზე დღეს ფრიალებს კომუნიზმის დროშა—აქ მუშათა კლასია ქვეყნის ბატონ-პატრონი, ის აშენებს თავის ახალ ჯერ არსად ნახულ სახელმწიფოს.

რა უნდა ვქნათ აესთ დროს? ასეთ დროს კინკლაობა და ბრძოლა კომუნისტურ პარტიასთან პირდაპირ ქვეყნის ღალატი იქნებოდა. დღეს, როცა ჩვენს მშენებლობას და ჩვენს არსებობას მსოფლიო ბურჟუაზია შურის თვალით უყურებს, გული გესლითა და შხამით ევსება მუშათა კლასისადმი და მისი სისხლი სწყურია ასეთ დროს ნუ თუ უფლება აქვს ვინმეს, რომ არ შეებრძოლოს და მშრომელთა ინტერესები არ დაიცოს, ნუ თუ რევოლიუციის, ქვეყნის და ყველა მშრომელთა კლასის ღალატი არ იქნება ასეთ დროს მუშათა კლასზე შეტევა? ეს იმავე დროს იქნებოდა ნაძღვილი სიგიჟე და დავიწყება იმ იდეალების, რომელსაც ვემსახურებოდით ათეული წლების განმავლობაში.

რას ვხედავთ დღეს? როგორია ბურჟუაზიის ფრონტი? რა ხდება მის ბანაკში? ბურჟუაზია ერთდება, ერთად იზრდება, საერთო ძალით გადადის შეტევაზე მუშ. კლასის წინააღმდეგ ის არ ინდობს არც თავისი საკუთარი ქვეყნის, ისე სხვა ქვეყნის მუშებს. ის მთელი თავისი ძალ-ღონით

უტევს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ბელადს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.

—მეორე მხრივ რევოლიუციის დიდ მონაპოვართა და სოციალიზმის დასაცველად დგას საბჭოთა ქვეყნების მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია წითელი დროშა და მედგრად მიემართება სოციალიზმის სამეფოსკენ.

დღეს ორ მოპირდაპირე ძალთა შორის,—ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის იწყება გადამწყვეტი ბრძოლა. მომენტი მართლაც რომ გადამწყვეტია. დაჭიმულ ნერვებით შეჰყურებს აწმყოს, მაგრამ იმედი გვაქვს მომავლის, რადგანაც სხვა ქვეყნების მუშათა კლასსაც კარგად აქვს შეგნებული თავისი ინტერესები, რომ ისინი გვერდში ამოუდგება თავიანთ ძმებს საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს რომლებიც სჭედენ ახალ სოციალისტურ ქვეყანას. ამ ნერვეულობის დროს მაგონდება ინგლისის მუშების თავგამოდებული ბრძოლა თავისივე ქვეყნის კაპიტალისტების წინააღმდეგ... ითვალისწინებ ამას და მრავალ ასეთ ფაქტებს და ფიქრობ თუ მუშათა კლასი გაერთიანდა, თუ ის შედუღდა ერთ მთლიან ერთეულად,— შეუძლებელია მისი დამარცხება, მისი დაძლევა...

ამისთვის არის საჭირო მუშათა და ყველა მშრომელი კლასების ერთი მთლიანი ფრონტის შექმნა, მათი ერთი მიზნით გატაცება. აი ამ მშრომელთა გაერთიანებისათვის უნდა ვიბრძოლოთ ჩვენ უნდა ვეცადოთ გავაერთიანოთ ყველა შეგნებული და მუქთახორა კლასების მოწინააღმდეგე ძალები ისე, როგორც ამას ჩადის ჩვენი მოსისხლე მტერი—მსოფლიო იმპერ.. თუ ეს ყველა მშრომელთა გაერთიანება შევძელით, თუ ყველა მაშვრალთა და ტვირთმძმეთა დარაზმვა შევძელით კომუნიზმის წითელი დროშის ირგვლივ, გამარჯვებაც ჩვენი იქნება. მაშინ ჩვენ შევძლებთ ჩვენი მოსისხლე მტერის საუკუნოდ დამარცხებას, მაშინ ჩვენ შევძლებთ სოციალიზმის დამყარებას.

——ერთი მთლიანი ფრონტი გაერთიანებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ. აი რას გვავალებს დღევანდელი მომენტი.

**ოლიმპიადა ბაქრაძე.**

# ახალი თაობის აღზრდა

ყველა ეპოქას ახასიათებს განსაკუთრებული მსოფლმხედველობა და ამ მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს მიზანი და სისტემა აღზრდისა. რაც გაბატონებულია ცხოვრებაში და საზოგადოებაში, იგივე გაბატონებულია სკოლაში.

ოქტომბრის რევოლიუციამ შესძლო ძველი სკოლის დანგრევა და მის ნანგრევებზე დღეს ის ახალ სკოლას აშენებს. სწავლის სფეროშიაც შეიჭრა წითელი რევოლიუციის ქარიშხალი და საბოლოოდ დაასამარა აღზრდის ძველი პრინციპები.

ახალმა სკოლამ უნდა მისცეს საბჭოთა ხელისუფლებას ისეთი შეგნებული მოქალაქენი, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მუშათა სახელმწიფოს შენებაში და საიმედო დამცველნი იქნებიან შრომის იდეალების.

საუკეთესო საშუალება ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის არის მისი დაკავშირება თანდროულ სოციალისტურ აღმშენებლობასთან. სკოლა უნდა დაუკავშირდეს მუშათა მასებს, რათა ახალმა თაობამ იგრძნოს პროლეტარული გავლენა.

სკოლას უნდა მოვაშოროთ თავიდან ბურჟუაზიული ტრადიციები და დაუმორჩილოთ იგი პროლეტარულ ტრადიციებს. სკოლაში ხშირად უნდა იმართებოდეს ანტირელიგიური საუბრები საშობაო და სააღდგომო დღესასწაულებზე და აგრეთვე ადამიანის და ქვეყნის წარმოშობის შესახებ.

სკოლაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი ერთგვარ ეროვნულ შოვინიზმს. ეროვნული საკითხი თხოულობს სისტემატიურ განმარტებას. უნდა აიხსნას „დასავლეთზე ორიენტაცია“, როგორც იმპერიალისტური ევროპის მიერ დამონებისაკენ. მასწავლებელმა უნდა განუმარტოს მოწაფეებს, რომ დღეს ქართველი მუშა და გლეხი ძმურ კავშირით არიან გადაბმული რუსის, სომხის, აზერბეიჯანის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელ მასებთან. ახსნილ უნდა იქმნას მნიშვნელობა და საჭიროება. ფედერაციისა, როგორც საუკეთესო ფორმისა ხალხთა სოლიდარობისა და თანამშრომელობისა. გარდა ამისა, სკოლამ უნდა მოაწყოს ექსკურსიები მეზობელ რესპუბლიკებში.

საყურადღებო პოლიტიკური მოვლენები და საერთაშორისო მდგომარეობა უნდა შუქდებოდეს სკოლაში თავის დროზე მოწაფეთა შორის.

საბჭოთა სკოლა აგებულია მარქსისტურ მსოფლმხედველობაზე და ამ სკოლამ უნდა მისცეს მოწაფეს ეს მსოფლმხედველობა. ახალი სკოლის მასწავლებელი უნდა ერკვეოდეს სოციალურ მოვლენებში. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როდესაც მასწავლებელი ზედმიწევნით იცნობს მარქსიზმის მთავარ დებულებებს. ისინი, ვინც ლაპარაკობენ სკოლაში პოლიტიკის შეტანის წინააღმდეგ წმინდა მეცნიერების სასარგებლოდ, ფაქტიურად აკეთებენ უალრეს პოლიტკურ საქმეს არსებულ რეჟიმის წინააღმდეგ. საბჭოთა სკოლის მასწავლებელი, თუ მას სურს ხალხის სამსახური, უნდა განიმსჭვალოს მშრომელთა ბატონების იდეიით, მაშინ ის პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას, როგორც პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის, ისე მომავალი თაობის წინაშე.

მასწავლებელი სოციალური მდგომარეობით ეკუთვნის მშრომელთა ინტელიგენციას და ის უნდა იდგეს თავის სფეროში. მშრომელთა ძალა-უფლების განმამტკიცებელთა რიგებში.

**სოლომონ მესტიაშვილი.**

# პოლიტიკური ბრძოლა თუ ჩხირკედელაობა?

ყოველ მდგომარეობაში და ყველა ხელისუფლების დროს, პოლიტიკური დამნაშავე და პოლიტიკურათ დასჯილი—ერთნაირ სიამაყე-კმაყოფილებას გრძნობს. ის დამშვიდებული ელის სასჯელს და თავის რწმენით გამაგრებული და უკეთესი მომავლის შემყურე ურიგდება მას. სისხლის სამართლის დანაშაულის სვინიდისის ქეჯნა და მონანიება უცხო და უჩვეულოა მისთვის. ეს ასეა საერთოდ. მაგრამ ასე არ იყო ეს ჩვენში,—საქართველოში. ამ საერთო მოვლენიდან გამონაკლის შეადგენდა ამ 5-6 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მომქმედი პარტიების—უმთავრესათ მენშევიკური პარტიის რიგები.

მცირე გამონაკლის გარდა, დიდი უმრავლესობა, და ტუსაღების პირველ დღეებშივე რწმუნდებოდა წარმოებულ ბრძოლის უაზრობაში და მათი მოღვაწეობა მონანიებით თავდებოდა.

ასე ემართებოდა არა მარტო პარტიის უბრალო წევრებს, არამედ მის უფრო თვალსაჩინო და მართლაც დამსახურებულ წევრებსაც. გულუბრყვილონი და „ურწმუნო თომები“ ამ გარემოებას ხელისუფლების სისასტიკით და ჩეკას სისტემით ხსნიდენ.

რასაკვირველია, ასეთი ახსნა შეცდომა და თავის მოტყუილება იყო. მას უფრო ღრმა და ანგარიშ გასაწევი მიზეზები ქონდა და რომ ის დროზედ ყოფილიყო გათვალისწინებული, უაზრო მსხვერპლიც ნაკლები იქნებოდა.

პოლიტიკურ პარტიას აქვს თავისი იდეოლოგია, პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი,—მიზანი სადღეისო და

სახვალიო. ეს არის მისი იარაღი ბრძოლის საწარმოებლათ და ძასაც ის მომარჯვებული უნდა ქონდეს ბრძოლის დაწყებამდე. მაგრამ თუ ის მას ბრძოლის პროცესში ეძებს და ისიც უკვე შეიარაღებულ მტერთან—ცხადია რომ დამარცხებაც უდაო და ბუნებრივი იქნება.

სწორეთ ასეთ იარაღს მოკლეეული იყო საქართველოს მენშევიკური პარტია, როდესაც ის არალეგალურ მუშაობას შეუდგა საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ. მისი იდეოლოგია გულის ჯავრზედ იყო აგებული. მართვა-გამგეობას ჩამოშორებული პარტიის ხელმძღვანელები შეუდგენ პარტიული მასის ამოძრავებას—მათთვის სულიერი საზრდოს მიუწოდებლათ, უპროგრამოთ, უძიზნოთ (თუ ასეთად არ მივიღებთ მარტო სურვილს ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისას). და როდესაც ცალკე პიროვნებები ეჯახებოდა სინამდვილეს და ეცნობოდეს საქმის ნამდვილ მდგომარეობას, ადვილათ რწმუნდებოდენ თავიანთი მოქმედების უაზრობაში და უარს ამბობდენ ბრძოლაზე

ამრიგათ საქართველოს მასშტაბით მომქმედი მენშევიზმი, რომელსაც არაფერი უსწავლია ახალი, დაეტაკა თუმცა ერთ დროს ფრაქციულ მოწინააღმდეგე ბოლშევიზმს, მაგრამ ბოლშევიზმს მსოფლიო მასშტაბში მომუშავეს და ლენინიზმით შეიარაღებულს. ბუნებრივია, რომ ფიზიკურ დამარცხებას მოყვა იდეურიც.

ეს გარემოება ყველაზე ადრე მუშურმა ალღომ იგრძნო და საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტია—როგორც **მუშათა —პარტია** დაშლილათ გამოაცხადა „მუშათა კომისიის“ შექმნით.

მაგრამ სამწუხაროთ თითო-ოროლა უსაქმურნი კიდევ არ გამოლეულან. დღევანდელ მენშევიკურ პარტიას —(თუ შეიძლება მას ეს სახელი დაუტოვოთ) ძველი მუშები, რომლებსაც თავისი წარსული ქონდათ და დაკავშირებული იყვნენ ერთ დროს მართლა მუშათა პარტიასთან.—თითზედ ჩამოსათვლელიც აღარ ყავს. პარტიას ჰკიდებული ყავს ისეთი ხალხი, რომელსაც არას დროს არავითარი საერთო არ ქონია სოციალიზმთან და მის პრინციპებთან. და რამდენადაც ეს ასეა—პოლიტიკური ბრძოლის მაგიერ გამოდის ჩხირკედელაობა და ავანტიურა. კითხვა ისმება: რატომ არ ქონდა საქართველოს მენშევიკურ პარტიას კომუნისტური მოძრაობის საწინააღმდეგო იდეოლოგია და ან ვის უნდა მიეცა ის მისთვის? იმდენათ, რამდენათაც ბოლშევიზმი არის საერთაშორისო მოვლენა და არა რუსული და ველიკორუსული, (როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებენ) თუ ის მართლა სოციალიზმის მახინჯი სახე, მისი საწინააღმდეგო დებულება და იდეოლოგია უნდა წამოეყენებია ისეთივე მსოფლიო მასშტაბით მომქმედ ორგანიზაციას.

ამ როლში უნდა გამოსულიყო მეორე ინტერნაციონალი. ის უნდა დაპირდაპირებოდა მეორე ინტერნაციონალის თეორიით და პრაქტიკით. მას საქმით უნდა დაემტკიცებია დემოკრატიზმის გზით სიარულის უპირატესობა დიქტატურასთან—პარლამენტარიზმის საბჭოთა სისტემასთან და სხვა.

რა მოგვცა სინამდვილეში? კაუცკი და ბაუერი რადიკალურათ ერთი-მეორეს საწინააღმდეგო დებულებებს აყენებენ.

მასწავლებელი უფრო ბრძოლის ხასიათზეა, მოწაფე „ლიბერალობს“. საბოლოო ანგარიშში კი ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ იძლევა რაიმე დასაყრდნობ წერტილს, სწორ შეხედულებას. ეს ყოფილი დიდი კაცები და თეორეტიკოსები ისე პატარავდებიან ბოლშევიზმის საკითხში, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ზურგიელიძის ამბავი მოგაგონდება კაცს:

„არ ვარგა მაგრამ მის უარეს სჯობიაო“. ასეთია მეორე ინტერნაციონალის მუშაობა იდეურ ფრონტზედ. პრაქტიკულ საქმიანობაში ისეთივე ცნობილი მოღვაწე მეორე ინტერნაციონალიდან მაკდონალდი მორცხვად ეარშიყება საბჭოთა კავშირს. არაფერი აქვს კომუნისტების საწინააღმდეგო სხივისას, მაგრამ მის ოჯახში მათი მოსვლის მოლოდინი ძლიერ აშინებს. იგივე ბაუერი აშკარათ აცხადებს, რომ არ ვეთანხმები საქართველოს ამხანაგებს ბოლშევიზმის საკითხშიო. მაგრამ ყველაზე უფრო კურიოზული ის არის, რომ საქართველოს მენშევიკებს—ბოლშევიზმთან ბრძოლაში ვერ უთანხმდება საქართველოს მენშევიკებისავე წარმომადგენელი მეორე ინტერნაციონალში—კაკი წერეთელი—სწორედ ამაზედ იტყვიან— „ეირია მონასტერიო“ და აბა ვის არგებს, ან გამოადგება ასეთი არეული მონასტრიდან მოწოდებული საზრდო.

დარჩა თითქოს ადგილობრივი საკითხი — ეროვნული მოტივი, მაგრამ საკითხია დარჩა კი იგიც?

კომუნისტური პარტიის მეთორმეტე ყრილობის რეზოლიუციის—(ეროვნულ საკითხზედ) თანდათანობით ცხოვრებაში გატარებამ, საქართველოში წარმოებულმა აღმშენებლობითი მუშაობამ, უპარტიო მასების ხელისუფლებასთან და მართვა-გამგეობასთან დაახლოებამ, ქართული კულტურისა და ხელოვნების წინსვლის გზაზედ დადგომამ და საერთოდ საქართველოს სინამდვილემ ეს მოტივიც სავსებით მოსპო. მაშ რაღა დარჩა ჩვენში მომქმედ არალეგალურ ჯგუფებს?

არავითარი გარდა „არალეგალური მუშაობისა“. ბოლშევიზმი გაამართლა ისტორიამ რუსეთის სინამდვილეში, ამის უტყუარი მოწმეა საბჭოთა კავშირის 10 წლის არსებობა, მისი პოლიტიკური სიმტკიცე—ეკონომიური წინ სვლა. ის მართლდება მსოფლიო მასშტაბითაც —ამის თავდებია მეორე ინტერნაციონალის იდეური გაკოტრება და გახრწნა, ევროპის მუშათა კლასის მარცხნით გადახრა და აზიის დამონებულ ხალხების დიდ მოძრაობა.

და ამ დროს საქართველოში ვილაცეების მიერ—რაღაცა „ფარული საქმის“ კეთება ჭეშმარიტათ რომ ჩხირკედელაობაა და მეტი არაფერი.

**მოსე ქუონია.**

# ბრძოლა ჭლექთან

## ჩვენში და დასავლეთ ევროპაში

ჯერ ისევ მე-19-ე საუკუნის ნახევარში ცნობილმა გერმანელმა მეცნიერებმა **სოლომონ ნეიმანმა** და **რუდოლფ ვირხოვმა** საკმარისი სიცხადით გამოაშკარავეს ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს სხვადასხვა ავადმყოფობათა და სოციალურ-ეკონომიურ პირობათა შორის. უკვე 1847 წელში ნეიმანი სწერდა, რომ „სოციალური ბუნება მედიცინის ყოველ ეჭვს გარეშეა და უმრავლეს შემთხვევაში ავადმყოფობათა მიზეზი იმყოფება არა ადამიანის სხეულში, არამედ სოციალურ-ეკონომიურ პირობებში“-ო.

მეცნიერთა მრავალგვარი გამოკვლევით (გოტტშტეინი, გროტიანი, ტელეკი, კასკალტი და სხვ.) ეს დებულება სავსებით დამტკიცებული იქნა ყველა სოციალურ სნეულებათა შესახებ და განსაკუთრებით კი ჭლექის შესახებ, რომელსაც დიდი გავრცელების და მაღალი სიკვდილიანობის გამო უჭირავს პირველი ადგილი სოციალურ დაავადებათა შორის. რამდენად მტკიცეა და ურყევი ეს დებულება ჭლექის შესახებ სჩანს იქიდან, რომ მეცნიერმა **გერბგარტმა** დაამუშავა კანონი,რომელიც მათემატიკური სისწორით ადასტურებს მუდმივ დამოკიდებულებას ჭლექსა და სოციალურ პირობების შორის.გერბგარტი ამბობს,რომ **„რაც უფრო ნაკლებია, ან დაბალი ხელფასი (შემოსავალი) მით უფრო მეტია ან მაღალი ჭლექის დაავადება და მისგან სიკვდილიანობა“-ო.** მთავარი დებულება, რომელზედაც დამყარებულია მთელი ბრძოლა ჭლექის წინააღმდეგ და მისი მეთოდიკა გამოიხატება იმაში, რომ ჭლექი სოციალური სნეულებაა და მისი გავრცელება მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ ეკონომიურ პა-

რობებთან. ამისათვის ჭლექის მოსასპობად საჭიროა სოციალურ-ეკონომიური პირობების გარდაქმნა და შრომის, კვების, საბინაო და საერთო ცხოვრების პირობების გაუმჯობესება; ამავე დროს, ჭლექი უმთავრესად ღარიბი კლასის, ე. ი. პროლეტარული მასების სნეულებაა და მის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებლად საჭიროა აქტიური მონაწილეობა თვით ამ მასების, სრული შეგნებით ამ ბრძოლის აუცილებლობისა.

აი ეს ორი დებულება, რომლიდანაც გამომდინარეობს სოციალური პროფილაქტიკა ჭლექისა საბჭოთა რუსეთში არის ის მთავარი ღერძი, რომელზედაც ტრიალებს ერთ და იმავე დროს და პარალელურად ორივე ბორბალი ჭლექის წინააღმდეგ საბრძოლველ ეტლისა: ერთის მხრით სახელმწიფო მთელი თავის ძალებით და სოციალური კანონმდებლობით, მეორეს მხრით პროლეტარული საზოგადოებრივობა მთელი თავის სამეცნიერო და პროფესიონალური ძალ-ღონის აქტივით.

ამ დებულებების გასათვალისწინებლად საჭირო იქნება მოკლე მიმოხილვა დასავლეთ ევროპის მიერ მიღებულ ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებისა და იმ „სამოთხის“ გაღება, რომელიც თურმე იქ არსებობს. მართლაც და იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ჩვენ გვიხატავენ „სანიტარულ ედემს“ ზოგიერთ კულტურულად და ეკონომიურად დაწინაურებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისას, უტყუარი სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ჭლექი იქაც იგივე, „სოციალური და პროლეტარული“ სნეულებაა, იქაც ასეთივე სასტიკი მტერია ღარიბი ხალხისა, მუშებისა და გლეხებისა და შეუმჩნეველი და თითქმის უვნებელი შეძლებულებისათვის. იმავე პარიზში, ლონდონში, ბერლინში, რომში, ბუდაპეშტში და სხვა დიდ ქალაქებში, რომელთაც პირდაპირ განცვიფრებაში მოჰყავთ ტურისტები თავის მშვენიერი და სუფთა მოედნებით, ქუჩებით და ყოველგვარ ტეხნიკურ და სანიტარულ კეთილმოწყობილობით; სადაც მშვენიერი და მდიდრულად მოწყობილი სასახლეები და კურზალები მოწმობენ მხოლოდ და მხოლოდ მცხოვრებთა ერთი ნაწილის განცხრომილ ცხოვრებაზე,—[illegible] ქუჩები, რაიონები და „მუშათა კვარტალები“, სადაც ჭლექი მშვენიერ ნიადაგს პოულობს და მისი გავრცელების % არ უვარდება ჩვეულებრივ % ე. ი. 7-დან 93-დე 10.000 მცხოვრებზე: 7 ჩვეულებრივია ველურ კაფრებისთვის და ევროპის გლეხობისათვის, 93—დიდი ქალაქების ლატაკ მცხოვრებლებისთვის. ე. წ. „ლუმპენ-პროლეტარიატისთვის“. ამის დასამტკიცებელი საბუთები გამოქვეყნებულია როგორც დასავლეთ ევროპის ისე რუსულ ლიტერატურაში ცნობილ მეცნიერების და ექიმ - სტატისტიკოსების მიერ. (ბრუარდელი, ჟულერა, დერნერი, ვერნიკე, კოროზი, ნიუკგოლსმი, მოლკოვი და სხვ).

მოყვანილ ცნობებიდან აშკარად სჩანს, რომ ევროპაშიაც მოიპოვება ქალაქები, ქუჩები და კვარტალები გადატვირთული და არა ჰიგიენური ბინებით, სადაც მძვინვარებს ჭლექი და ეს ბინები ეკუთვნის პროლეტარულ ფენებს—ღარიბებს. იგივე სტატისტიკა გვიმტკიცებს, რომ ლონდონშიაც კი მოიპოვება კვარტალები „შევიწროებული საცხოვრებელი ბინებით“ და ბინების გადატვირთვის პროცენტთან ერთად იზრდება სიკვდილიანობაც ჭლექისაგან დაავადებულ პროლეტარულ ფენებისა: იმ რაიონებში, სადაც გადატვირთული ბინების პროც. უდრის 10—35 პროცენტს. სიკვდილიანობაც ადის 12—37-დე.—10.000 მცხოვრებზე.

მაშასადამე, ის მთავარი დებულებები, რომელზედაც აშენებულია საბჭოთა ქვეყნებში ჭლექის საწინააღმდეგო ბრძოლისთვის საჭირო საშუალებათა ციხე-სიმაგრე დღევანდელ კაპიტალისტურ წესწყობილებაში შეურყეველი რჩება და ყველა ის სახელმწიფო, რომელიც ბრძოლის დროს აუხვევს გზას ამ სიმაგრეს, ასცდება ერთადერთ სწორე გზას ჭლექის დამარცხებისათვის და დამარცხებული გამოვა თვითონ.

ერთი ასეთი მაგალითი უკვე არის ჩვენ თვალწინ. ერთ დროს მთელი გერმანია გატაცებული იყო იმ აზრით, რომ ჭლექის მოსასპობად საჭიროა მხოლოდ საკმარისი რიცხვი სანატორიუმებისა. ერთ მშვენიერ დღეს გერმანელმა მეცნიერებმა გამოიანგარიშეს ჭლექით შეპყრობილ ავადმყოფების რიცხვი, აღრიცხეს ყველა ჭლექიანი მოქალაქე, მათთვის საჭირო სანატორიუმების რიცხვი და მათი ღირებულება და აშკარად დაუმტკიცეს სახელმწიფოს, უფრო კი დამზღვევ სალაროს, რომ გაუთავებელ და მრავალ წლობით პენსიების გაცემას ჭლექისაგან დასნეულებულ ინვალიდებზე,—უფრო მიზანშეწონილი და ხელსაყრელია ერთბაშად ფულის დახარჯვა ყველა ჭლექიანების მორჩენაზე, რა თქმა უნდა, სანატორიუმებში. ეს მოსაზრება იმდენად ცხადი და დასაბუთებული იყო, რომ მთელი საზოგადოება და გერმანული დამზღვევი სალაროები მხურვალედ მოეკიდენ ამ საქმეს და ძალიან მალე გერმანია აივსო მშვენიერი სანატორიუმებით. თუმცა პირველ ხანებში ცხოვრებამ თითქოს გაამართლა ეს მოსაზრება და 80% ჭლექიან ავადმყოფებისა სანატორიუმებში ხანგრძლივი წამლობის შემდეგ ექიმების მოწმობით „სრულიად მორჩენილნი“, გამოდიოდენ, მაგრამ, მაინც არა სჩანდა ის დრო, როდესაც გერმანია გადაიქცეოდა იმ ბედნიერ ქვეყნად, სადაც ჭლექის ხსენებაც კი აღარ იქნებოდა, გერმანელ მეცნიერებს დაავიწყდათ ის სრულიად უბრალო ჭეშმარიტება, რომ სანატორიუმების გაშენება კიდევ არ ნიშნავს სახელმწიფო ცხოვრების გაჯანსაღებას, რომ არსებული საერთო სოციალურ-ეკონომიური პირობები სახელმწიფოში განსაზღვრავენ ხალხის ცხოვრების შინაარს და მის შემძლებლობას და იქ, სადაც მიზეზი საერთო უბედურების მთელი ყოფა-ცხოვრების საფუძვლებია, ნაწილობრივი ზომებით სამუდამოდ შედეგს ვერ მივაღწევთ. მართლაც და 3—4 წლის შემდეგ სტატისტიკამ გერმანიაში დაგვანახვა შემდეგი სამწუხარო ფაქტი: 70% „სრულიად მორჩენილი“ ავადმყოფებისა, რომელთაც წამლობაზე სანატორიუმებში დახარჯული იყო რამოდენიმე მილიარდი ოქრო,—მიადგა ისევ სანატორიუმების კარებს. ნაცვლად გამოწერილ „მორჩენილ“ ავადმყოფებისა სანატორიუმებში მოდიოდენ კიდევ უფრო მეტი ახალი „ჭლექისაგან დასნეულებულ“ ავადმყოფებისა.

გერმანული დამზღვევი სალაროები დაემგზავსნენ იმ საარაკო გმირს, რომელიც კოვზით ფიქრობდა ზღვის ამოშრობას. გამართლდა ერთხელ კიდევ **ფრიდრიხ ენგელსის** სიტყვა, რომელიც ამბობდა, რომ „სისულელე იქნებოდა მუშათა კლასის ცხოვრებაში ცალკე გადაწყვეტა რომელიმე საზოგადოებრივი ხასიათის საკითხისა, როდესაც საერთო სოციალურ-ეკონომიური პირობები შეუცვლელია“-ო.

მართლაც და მაშინ, როდესაც ჭლექით შეპყრობილ ავადმყოფთა უმრავლესობა 75—90% პროლეტარულ ფენებს ეკუთვნის; როდესაც 75 % ამ ავადმყოფებისა ცხოვრობს საერთოთ ოთახში სხვებთან და ხშირად სძინავს ერთს საწოლში; როდესაც დიდ ქალაქებშიაც კი საბინაო კრიზისი უმაღლეს საფეხურამდე ადის; როცა მდიდარ და მშვენიერ სასახლეებს და ვილლებს გვერდში უყენებს მყრალ და ნესტიან სარდაფებს და კუთხეებს, როდესაც მთელი სახელმწიფო ერთი ბლუჯა მდიდრებს გარდა განიცდის პოლიტიკურ და ეკონომიურ გაჭირვებას და შევიწროებას, ნამეტნავად უკანასკნელი ომის შემდეგ. სანატორიუმების გაშენებით ჭლექის მოსპობა შეუძლებელია. აი სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს გერმანელები, რომელთაც ათასობით აქვთ მშვენივრად მოწყობილი ტუბერკულიოზური და სხვა სანატორიუმები მოდიან ეკონომიურად გერმანიაზე სუსტ რუსეთში ჭლექის საწინააღმდეგო ზომების გასაცნობათ და მათ სოციალურ პროფილაქტიკის მეთოდების შესასწავლად.

საქმე იმაშია, რომ როდესაც ჭლექი იღებს **მასიურ და კლასობრივ ხასიათს** და მშრომელთა რიგებს აცლის „ცოცხალ ძალას“, მაშინ იშლება და სუსტდება სამეურნეო ფრონტი და სახელმწიფო აღმშენებლობას აკლდება საჭირო ელემენტები, რომელთა ნაცვლად ჭლექი ამრავლებს ინვალიდებს და ორნაირად აზარალებს სახელმწიფოს. ამ დროს ირღვევა ის რევოლიუციონური ბალანსი,

რომელშიაც მთავარი ადგილი ეკუთვნის მუშათა კლასის ლის“ დაცვის და შენარჩუნების აუცილებელ საჭიროებაა
ლის“ დაცვის და შენარჩუნების აუცილებელ საჭიროებაა
მოითხოვდა **ლენინი.**

რა თქმა უნდა, რომ პროლეტარულ სახელმწიფოში პროლეტარული ს[illegible] [illegible] სახელმწიფო [illegible]ლობას შეადგენს და კაპიტალ[illegible] ქვეყნებში ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაცია არის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახით იგი აერთიანებს მთელ ამ ორგანზაციას, რომლის სათავეში სდგას ტუბერკულიოზური სექცია ცენტრში თავის მრავალგვარი ჭლექის საწინააღმდეგო დაწესებულებებით და ორგანიზაციებით.

როგორია ჭლექის საწინააღმდეგო ორგანიზაცია და ბრძოლა ჩვენში და დასავლეთ ევროპაში? რაში გამოიხატება უპირატესობას ერთის ან მეორის? როგორია მათი მიღწევები და მათი მომავალი? ამაზე ვილაპარაკოთ შემდეგ წერილში.

**ექ. გ. რუსიშვილი-ყორჩიბაში.**

# თელავის მაზრაში

თელავის მაზრაში კამპანიების ჩასატარებლად თბილისიდან გვესტუმრენ ამხანაგები: გ. სულაქველიძე. და ს. გვიმბრაძე. 4 აპრილს შესდგა საერთო კრება თელავის სახალხო სახლში. მთელი დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი და მრავალი უადგილობის გამო უკან დაბრუნდა.

ამხ. გვიმბრაძემ თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქართველი ემიგრაციის ბელადები ხელახლა ამოძრავდენ და ლამობენ კიდევ მოუწყონ ქართველ ხალხს 1924 წლის აგვისტოს მსგავსი ავანტიურაო. დამსწრე საზოგადოება ძალიან ააშფოთა ამ ამბავმა და გაიძახოდენ: „ჩვენ არავის არ მივსცემთ საშუალებას, რომ საქართველოში აგვისტო განმეორდეს, და თუ ჩვენში ვინმე ისეთი აღმოჩნდება, რომ ასეთ რამეს შემოგვთავაზებს, ჩვენ მას თავისი საკუთარი ხელით დავახრჩობთო“.

კამათში ბევრი იღებდა მონაწილეობას, რის შემდეგაც მიღებული იქნა შესაფერი დადგენილება.

მეორე მოხსენებით გამოვიდა ამხ. გ. სულაქველიძე, რომელმაც კრებას გააცნო ემიგრაციის ცხოვრება და აგრეთვე დაწვრილებით ილაპარაკა მომენტებზე. საზოგ დოება ყოველივე წვრილმანს ყურადღებით ისმენდა... ამხ. სულაქველიძის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში. კრება გაგრძელდა ღამის პირველ საათამდე. იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც ამომწურავი პასუხი გასცეს მომხსენებლებმა. მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

შემდეგი კრება გაიმართა სოფელ **ახმეტაში,** სადაც ერთ ფრიად სამწუხარო მოვლენას ჰქონია ადგილი: აქ ისე ყოფილან დაშინებული ყოფილი მენშევიკები, რომ კრებაზე ვერ მოდიოდენ და კანკალებდენ შიშით. ჩვენ შეკითხვაზე: თუ რატომ არის ეს ასეო, გვიპასუხეს:— რა ვქნათ დაჭერის გვეშინია და იმიტომ ვერ გაგვიბედნია კრებაზე მოსვლაო.

თელავის ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილებას სამი წლის განმავლობაში არაფერი არ გაუკეთებია. როდესაც ჩვენი მისვლის მიზეზი უთხარით, ძალაზე გაეხარდათ და გვთხოვეს: ცენტრიდან ხშირად გამოგვიგზავნოთ ამხანაგებიო. **ახმეტის** კომუჯრედის მდივნის დანაშაულია ის, რომ მას ძველი რევოლიუციონერები ვერ დაუახლოვებია და ეს ნაკლი უნდა გამოსწორებულ იქნას. აქაც შესაძლებელი ავანტიურის გაგონებამ, ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და იძახოდენ გლეხები: „ჩვენი ერთად-ერთი მთავრობა საბჭოთა მთავრობაა და ჩვენ ყველანი წითელი დროშის ქვეშ დავიხოცებითო“.

ასეთივე ერთსულოვნება და მთავრობის სიყვარული იყო სოფელ **ქისტაურშიაც.** ერთი მოხუცებული გლეხი, 65 წლისა, (ახალგზელი) ამბობდა, რომ დღესაც რომ დამიძახოს კომუნისტურმა პარტიამ იარაღით ხელში გამოვალ მშრომელი ხალხის დასაცავადო. ჩვენ არავის პროვოკაციაზე არ წამოვეგებით და ზიზღი იმ ხალხს, ვინც კიდევ ავანტიურაზე ფიქრობსო.

შემდეგი კრება გაიმართა **იყალთოში,** ეს ის რაიონია, სადაც ბუდობდა ბანდიტი ჩოლოყაშვილი. მოხსენებით გამოვიდა ამხ. გიორგი სულაქველიძე, რომელმაც დაახასიათა ჩოლოყაშვილის როლი, რასაც წყევლა-კრულვით იხსენიებდენ გლეხები. — მის შემდეგ დამშვიდებით ვცხოვრობთ და აღარავინ გვაწუხებსო. ამბობდნენ ისენი.

ყველგან, სადაც გვიხდიბოდა კრების ჩატარება გმობდნენ მენშევიკთა მოღალატეობას და ახალი ავანტიურის მოწყობის ცდას. ყველგან გამოქონდათ საწინააღმდეგო რეზოლიუციები.

მთელ კახეთში ადგილი ქონებია ერთ საყურადღებო მოვლენას, ეს არის საქონლის ქურდობა. ჩემს შეკითხვაზე, სოფ. **ახალ - გავაზის** აღმასკომის თავმჯდომარემ მიპასუხა, რომ ეხლა შედარებით ნაკლები იკარგებაო. აქ ოთხმოციოდე სული საქონელი დაკარგულია. განა გლეხებმა არ იციან ვინ არის ეს ქურდები? იციან, მაგრამ ეშინიათ, რომ გაიგონ შემდეგ ცეცხლს წაგვიკიდებს და დაგვწვავსო. ეხლა საქონლის ქურდობიდან გადასულან ვაზის ქურდობაზე. ვინც კი ჩაყრის წლიურ ვაზს მან არ იცის მეორე დღეს დახვდება თუ არა იქ. წლიური ნამყენი კი ღირს 100 ცალი 15 მანეთი. გლეხები ძალზე არის შეწუხებული ამ მოვლენით. თელავში შემომჩივლა სოფ. კურდღელაურის მცხოვრებმა ლაზარაშვილმა, რომ გუშინღამ დამიგლიჯეს ორასი ცალი ვაზიო, ასევე სოფელ შრომაში დევდარიძისათვის მოუპარავთ დარგული ნამყენი. ამხ. ლაზარაშვილი ძველი რევოლუციონერია და კატორღელი, მას ხელი მოუკიდნია მეურნეობსათვის და ამის საშუალებას არ აძლევენ. როგორ იმუშაოს ეხლა გლეხებმა, როდესაც მას იმედი არა აქვს, რომ თავის ნაშრომს მას არ მოსტაცებენ? თელავის ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს ზომები რათა ძირიანფესვიანად აღმოფხვრას ეს ბოროტება. გლეხები იძახიან, რომ თუ მთავრობა არ მიიღებს ზომებს მაშინ ჩვენ თითონ გავასამართლებთო, ისევე როგორც მეფის დროს ვასამართლებდითო, ქურდებს გავიყვანთ ხევზე და ჩავქოლავთო. სასტიკი ზომები უნდა იქნას მიღებული. საწყალი გლეხი 12 საათს მუშაობს და ღამით როგორღა შეუძლია მას უდარაჯოს. ასეთ მდგომარეობაში მეურნეობის განვითარებაზე ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელია. გლეხებმა სთქვეს: ჩვენ ვიცით ვინც არიან ქურდები, მაგრამ რომ ვთქვათ, მეორე დღესვე გაანთავისუფლებენ და მერე უარეს გვიზამსო. ის რომ დარწმუნებული იყოს იმაში, რომ დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან — მაშინ ის ხელს დაადებს ქურდებს და, რაც მთავარია ვერც ქურდი გაბედავს ბოროტებას ჩადენას.

კახეთში ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე ღვინის გასაღების საქმე. გლეხები ძალზე სწუხან რომ მათ ღვინო გასასყიდი აქვთ და ვერ ყიდიან. ჭაშნიკით ხელში დარბიან და ეხვეწებიან კერძო ვაჭრებს: იყიდეთ ჩვენი ღვინოო. ვაჭრები მასხარათ იღებენ და ეუბნებიან: ას მანეთს მოგცემ საპანეშიო. გლეხი იძულებულია გაჰყიდოს ღვინო იაფად, რადგან მას ეხლა ფული ეჭირვება, რათა ჩაყაროს ნამყენი ვაზი. სწორედ ეხლა არის დახმარება საჭირო, რათა გლეხს საშუალება ქონდეს მეურნეობის აღდგენისა. კახეთში გლეხს ღვინის მეტი არა გააჩნია რა და ღვინის ტრესტი ვალდებულია შეისყიდოს ეს ღვინოები.თორემ თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები,გლეხის სიმდიდრე ხელში ჩაუვარდებათ ჩარჩებს ჩალის ფასად. გლეხის მდგომარეობა ხომ კიდევ უფრო გაუარესდება. ვაჭრები დაცინვით ეუბნებიან გლეხებს „ველარ გიშველათ ღვინის ტრესტმაო“.

საერთოდ კახეთი მდიდარია ტყეებით, მაგრამ უგეგმოთ

ჩეხენ და ანადგურებენ მას. არვინ არ იცავს მას. ყოფილა შემთხვევა **ხ. ლაყურში** მგელა ხუციაშვილს გაუჩეხია 300 ძირი ხე და სასამართლოს გაუმართლებია, როგორც ღარიბი გლეხი. სინამდვილეში კი ის ძალიან მდიდარი ყოფილა. აი რა გვითხრა თელავის მაზრის კომიტეტის ინსტრუქტორმა ამხანაგმა იოსებ კარატელმა. ამ „ღარიბ“ გლეხს ყოლია სამასი ძირი ფუტკარი და ოცდაათი სული ძროხა. გვარიანი ღარიბი ყოფილა!...

სასტიკად უნდა დაისაჯოს ტყის მტრები. ჩვენი მთავრობა იქ აშენებს ტყეებს, სადაც არ არის და კახეთში კი ის უთავბოლოდ იჩეხება.

ნაფარეულის სახალხო მამულის გამგემ მოქ. მაყაშვილმა გვიამბო, რომ შარშან მამულის ტყე ორი დესეტინა გაქერქესო და გაქერქილი ხეები კი ფუქდება. ერთ დღეს ხომ არ შეიძლებოდა ამის გაქერქვა და სად იყო ტყის მცველი? უნდა დაიზოგოს ტყე და ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ ვეცადოთ, რათა ტყე დავზოგოთ და გაჩეხილის ადგილზედ ახლი გავაშენოთ.

მთელი კახეთი მკითხავებისა და ექიმბაშებისაგან არის აკლებული. ისინი ხალხს არწმუნებენ: ყოველივე ჭირი თქვენზე იმის ბრალია, რომ ღმერთი არა გწამთო. ატყავებენ გლეხებს ყოველ ფეხს და ცალიერზე სტოვებენ მათ. მარტო ს. შრომაში 5 მკითხავია, რომლებიც მკითხაობაში თითო მანეთს იღებენ გლეხებისაგან. ესენი ბრძანდებიან კასრელიშვილი ოლა, კობახიძე, ზურია დალაქიშვილი, კატო დალაქიშვილი და კაკო კობახიძის ცოლი. გლეხებმა ითხოვეს მათი ალაგმა და გადასახლება. საჭიროა ყურადღების მიქცევა როგორც ქურდებისათვის, ისევე მკითხავებისათვის.

**სანდრო გვიმრაძე.**

# ცარიელ სიტყვებზე საქმით უპასუხეთ

ცნობილია, რომ ხონი და მისი რაიონი მთელ საქართველოში წარმოადგენს მეაბრეშუმეობის საუკეთესო მხარეს და რომ ამ რაიონში მოწეული პარკი განთქმულია თავისი ხარისხით, როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარეთელ ბაზრებზე.

ხონსა და მის რაიონში სასოფლო-მეურნეობის არც ერთ დარგს არა აქვს განვითარების ისეთი ნიადაგი, როგორც მეაბრეშუმეობას. ის დიდი ბურჯია ადგილობრივ მცხოვრებლების ეკონომიური განვითარებისა.

ეს იყო მიზეზი, რომ ხონსა და მის რაიონს იმ თავითვე ეტანებოდენ კერძო კაპიტალისტები. თვითმპყრობელობის დროსაც აქ მრავლათ იყო აბრეშუმის პარკის სახმობი ფარდულები. მაგრამ ყოველივე ეს რევოლიუციის დროს გაქრა და საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობათ მიიღო სრულიად განადგურებული მეაბრეშუმეობა და მისი გამობრუნების იმედიც არავის ქონდა.

მაგრამ დღეს რას ვხედავთ, ხონსა და მისი რაიონის მშრომელი გლეხობის ეკონომიური სიძლიერის უდიდესი დარგი უწინდელთან შედარებით ერთი ათად გაიზარდა და გაძლიერდა. აშენდა მრავალი ფარდულები, აშენდა ქარხნები, სადაც ორ წყებად 200 ქალი მუშაობს, და სრულიად გაამართლა იმედი იმ მხრივაც, რომ მოგვცა საუკეთესო ხარისხის ძაფი; მაგრამ ეს ქარხანა, როგორც ხონში დამზადებულ პარკის რაოდენობისათვის, ისე მშრომელ-ღარიბ გლეხობისა და რაიონში არსებულ უმუშევრობისათვის ზღვაში წვეთს წარმოადგენდა. ამ გარემოებას მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ჩვენმა ხელისუფლებამ. ამიტომ აქ დაარსდა უფრო დიდი ქარხანა, რომელშიც იმუშავებს ერთ წყებათ 600 ქალი და ძაფათ დაამუშავებს მთელი ხონის რაიონში მოწვეულ პარკს. მიმდინარე აპრილის პირველ რიცხვებში ამ დიდ ქარხანასაც ჩაეყარა საფუძველი: უკვე დამთავრებულია ფარდულების აგება, გაყვანილია ელსანათის ხაზი, მოზიდულია როგორც ხის, აგრეთვე ყველა სხვა საჭირო მასალები და მუშაობა ჩქარის ტემპით სწარმოებს.

ყოველივე ეს ერთსულოვან აღფრთოვანებას იწვევს ამ რაიონის მშრომელთა მასებში. მიუხედავათ იმისა, რომ აქ ყანის ხვნა-თესვა დაწყებულია და გლეხს, როგორც აქ იტყვიან თავის მოფხანისათვის არ სცალიან, აუარებელი ხალხი მოდის ამ ქარხნის აგებაზე წარმოებულ მუშაობის დასათვალიერებლად და მისი ხელმძღვანელები უამრავ წინადადებებს იღებენ აქაური გლეხებისაგან: თუ დახმარება დაგჭირდეთ გამოგვიძახეთ და სრულიად უსასყიდლოთ დაგეხმარებით ქალიდან-კაცამდის, მხოლოდ ქარხანა კი მალე დასრულდესო.

შთაბეჭდილება ისეთი იქმნება, რომ მთავრობამაც, რომ უარი განაცხადოს ქარხნის აშენების ხარჯების გაღებზე, თვითონ გლეხობა თავის ხარჯით იკისრებს ამ საქმის დამთავრებას.

ხედავთ ამ მდგომარეობას და გიკვირსთ: ნუ თუ ეს მართალია? ნუ თუ ეკონომიურად დაბეჩავებულ გლეხობის მიერ ასეთ გამოხმაურებას აქვს ადგილი? დიდი და პატარა, ქალი და კაცი—ყველა, ვისაც არ უნდა შეხვდეთ, ყველა ქარხანაზე გელაპარაკება.

უყურებ ამ სურათს და ფიქრობ, ნუ თუ კიდევ დარჩენილა ჩვენში ისეთი, ბრმა და ყრუ, რომ ეს ვერ დაინახოს და ასეთ აომშენბლობას ანგარიში არ გაუწიოს?

დეე, ჩვენმა მტრებმა ილაყბონ ცარიელ სიტყვებით, ჩვენ კი პასუხს გავცემთ მგზავსი საქმიანობით.

**ილ. ფალავა.**

# რკინის გზის ცხოვრებიდან

წარსულმა წელმა, ცოტა არ იყოს, სამარცხვინო დაღი დაგვასვა რკინისგზელებს. გაგვიხშირდა უბედური შემთხვევები და ამიტომ ალაპარაკდა, ახმაურდა საზოგადოება და პრესა. დღესაც ბევრი ოხუნჯობს რკინის გზით მოგზაურობის დროს: მივდივარ, მაგრამ რა ვიცი სად მოვიტეხ კისერსო...

აქ საჭიროა განვაცხადოთ ჯერ ერთი ის, რომ სახალხო მატარებლებზე უბედური შემთხვევა ან სულ არ ხდება, ან და ძალიან იშვიათად.

ამიტომ სულ ტყუილია შიში და ვიში მოგზაურობის დროს.

უბედური შემთხვევები სამწუხაროთ ხდება დიდი და გრძელი შემადგენლობის სატვირთო მატარებლებზე. ამას აქვს თავისი მიზეზები, რის თავიდან აცილებას ყველა რკინისგზელი ცდილობს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ წარმოუდგენელია რკინის გზა, სადაც ალაგი არ აქვს რაიმე უბედურ შემთხვევას. თვით ტეხნიკურად მეტად განვითარებულ სახელმწიფოებშიც-კი მოხდება ხოლმე ისეთი უბედურება, რომ მთელ ქვეყანას აალაპარაკებს.

ამიერ-კავკასიის გზა, უბედური შემთხვევების მხრით, ითვლება მთელ საკავშირო 25 დიდი გზიდან მეთერთმეტეთ. ეს ნიშნავს, რომ ათი გზა ჩვენზე უარესია, ხოლო ხუთმეტი უკეთესი.

თუ მივიღებთ სახეში იმ დიდ მოძრაობას მატარებლებისას, როგორიც არის დღეს ჩვენში, ჩვენი გზის მდგომარეობამ უნდა დაიჭიროს კიდევ უფრო კარგი ალაგი. ამიერ-კავკასიის რკინის გზა მუშაობს დღეს ძალიან დიდის დატვირთვით. მიუხედავათ იმისა, რომ გადიდდა სიმძიმე და სიგრძე მატარებლებისა, იმატა აგრეთვე მატარებელთა რიცხვმა.

მომავალში მოსალოდნელია კიდევ მეტი მუშაობა და ამიტომ ყველა რკინისგზელს გვმართებს მეტი ენერგიის დამზადება, რომ პირნათლათ ავასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობანი.

ბევრი ტეხნიკური მხარეები გვიშლის ხელს ამ მუშაობაში, ბევრი დაბრკოლებანი გვეღობება წინ და აი ჩვენ გვინდა ზოგი ამათგანი აღვნიშნოთ აქ.

ხშირად გვისაყვედურებენ ხოლმე, რომ რკინის გზა-

ზე დაეცა დისციპლინა, დაეცა კვალიფიკაცია მუშებისაო.

ეს საყვედური სიმართლესთან, რამდენიმეთ მაინც, ახლოა. მართლაც დაეცა კვალიფიკაცია მუშებისა, ზოგ დარგში მაინც შესამჩნევადაც.

ავილოთ პირველად ორთქლმავლის გუნდები. აქ ყველაზე უფრო ემჩნევა კვალიფიკაციის დაცემა, და ეს გარემოება უსათუოდ დაღს ასვამს ამ გუნდების მუშაობის უნარიანობას.

წინათ მემანქანეებათ მიდიოდნენ ინჟინრები, ტეხნიკები, სახელოსნო სასწავლებლებიდან და საუკეთესო ზეინკლები.

დღეს-კი უბრალო ზეინ კალიც აღარ მიდის ამ თანამდებობაზე.

რა არის ამის მიზეზი?

არავინ არ იტყვის უარს იმაზე, რომ მემანქანეობა ერთი უძნელესი სამუშაოა რკინის გზაზე. ამ მოხელესთვის არ არსებობს უქმი და საქმის დღე, მისთვის ერთია დღე და ღამე, სიცივე და სიცხე, ქარი და წვიმა.

დიდია ამასთან პასუხისმგებლობა მემანქანესი. მის ხელშია ათასობით მგზავრები, თუ სატვირთო მატარებელი. მას უნდა ქონდეს ოთხი თვალი და ამდენივე ყური. ის უნდა იყურებოდეს ყოველ მხარეზე. ის უნდა იყვეს მუდამ ფხიზლათ, მუდამ ფეხზე.

მიუხედავათ ასეთი დიდი საპასუხისმგებლო მოვალეობისა, ამ დარგში სიამოვნებით მიდიოდნენ გამოცდილი მოხელენი, ინჟენრები და ტეხნიკები.

—რკინის გზის ტეხნიკური სასწავლებელი გვიმზადებდა ასობით მემანქანეებს. სიამოვნებით მოდიოდნენ ამ დარგში იმიტომ, რომ აქ შრომა ფასდებოდა და ორთქლმავლის გუნდები ღებულობდენ დიდ ჯამაგირს. ორასი, სამასი მანეთი თვეში ეს იყო მინიმუმი. ხშირად თვიური ჯამაგირი აღიოდა თვეში ხუთას მანეთამდი.

აი ეს გარემოება ზიდავდა აქეთ მთელ საუკეთესო მუშა-მოხელეთ. ესენი უფრთხილდებოდენ თავის ალაგს. აფასებდენ მას და მუშაობდენ ენერგიულათ.

ამავე დროს სხვა დარგებში იყო მეტად მცირე ჯამაგირი. ზეინკალი აკეთებდა თვეში 40—60 მანეთს. მემუხრუჭე—20—30 მანეთს. მეისრე 10—15 მანეთს და ასთე.

საბჭოთა ხელისუფლებამ გაასწორა მთა და ბარი. მუშათა ხელისუფლებამ სთქვა: საქმის ასე დატოვება არ შეიძლება. ერთმა მუშამ აიღოს სამასი და მეორემ ხუთმეტი მანეთი—ეს დაუშვებელია, უკანონობაათ და აი მოხდა გათანასწორება. აიწია დაბალი კატეგორიის მოხელეთა ჯამაგირები და დაეცა ამიტომ ორთქლმავლის გუნდების ხელფასი. დღეს ზეინკალის ჯამაგირი გაუსწორდა მემანქანეს ჯამაგირს და ერთი მითხარით რაღაისთვის წავა ზეინკალი ისეთ საპასუხისმგებლო და ძნელ სამუშაოზე როგორიც არის მემანქანეობა?

ტეხნიკები და ინჟენრები ხომ არავინ არ აიღებს ორას მანეთზე ნაკლებს და მით უმეტეს აღარ მოდიან ორთქლმავლებზე.

მემანქანები-კი გვჭირდება... დაარსდა საამისო კურსები და აი ორ—სამ თვეში დავიწყეთ მემანქანების მომზადება.

აი, ამ გარემოებამ დასცა კვალიფიკაცია ამ დარგში.

არ შეიძლება რამდენიმე თვეში მემანქანეს მომზადება. თუ ეს შესაძლებელია თეორეტიულად, ყოველ შემთხვევაში საჭიროა რამდენიმე წლის პრაქტიკა თანაშემწეთ, ასეთი მომზადების შემდეგ.

ამით აიხსნება რამდენიმედ უბედური შემთხვევების გახშირება.

ჯამაგირების გათანასწორება კარგი და სამართლიანი საქმეა, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ოთქლმავალის გუნდები გაუთანასწოროთ სხვა დარგის მუშებს. თუ ამ დარგში მუშაობა მართლაც ძნელი და პასუხსაგებია, ამათ უსათუოთ უნდა მიეცეს ზედმეტი ჯილდოც. ხომ გვყავს ჩვენ სპეცები, რომელთაც ვაძლევთ სპეცის ჯამაგირს. განა მემანქანეობა—სპეცობა არაა? თუ კი ვინმეს ერგება სპეცის ჯამაგირი, ასეთი უსათუოთ ერგება მემანქანეს და მის თანაშემწეს.

რას ღებულობენ დღეს მემანქანეები. თვიური შემოსავალი მემანქანესი დღეს უდრის საშუალოთ 120 მანეთს. თანაშემწესი-კი 80 მანეთს.

თუ მივიღებთ მხედველობაში, ყველა ნათქვამს გარდა, რომ ეს ხალხი ორნაირ ხარჯს ეწევა—ერთს სახლში და მეორეს გზაში, რომ ამათ უნდა ქონდეთ ორნაირი ტანსაცმელი და სხვა—ეს ჯამაგირი მეტად მცირეა. ასეთი ჯილდო აღარ იზიდავს კარგსა და გამოცდილ ტეხნიკის—ხელოსნებს და ასე ეცემა ამ საყურადღებო დარგის კვალიფიკაცია.

ეს მოქმედობს ცუდათ მუშაობაზე და აქ აუცილებლათ საჭიროა ყურადღების მიქცევა და საქმის გამოსწორება.

ახლა გადავხედოთ როგორი მდგომარეობაა სხვა დარგებში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კონდუქტორები წინათ ღებულობდენ 20—30 მანეთს და დღეს-კი ამათი ჯამაგირი უდრის 60—70 მანეთს.

დღევანდელ სიძვირესთან ეს არაა დიდი ჯამაგირი, მაგრამ ყოველშემთხვევაში ამ დარგში საქმე წინ მიდის და არა უკან, როგორც ორთქლმავალის დარგში.

მერე კიდევ ხელისუფლების მიერ აღებული კურსი, რომ ყოველ შესაძლებლობის დროს აიწიოს დაბალი კატეგორიის მუშა-მოსამსახურეების ჯამაგირი იმედს გვაძლევს, რომ ამ გზით კონდუქტორების ხელფასი კიდევ მეტს აიწევს, თუ-კი ყველა ვეცდებით ენერგიულათ მუშაობას და ამით გავადიდებთ ჩვენი შრომის ნაყოფიერებას.

ერთი კი დღესვე უნდა ითქვას: სატვირთო მატარებელზე მომუშავე კონდუქტორებს და გამზეთავებს უსათუოთ უნდა მიეცეს საზამთრო ტანისამოსი. თბილი ფეხსაცმელი და თბილი ქუდები. უამისოთ პირდაპირ დანაშაულია სიცივე—ზამთარში ამათი სამუშაოთ გაგზავნა.

უნდა ითქვას, რომ ამ დარგშიც ძალზე დაეცა კვალიფიკაცია —მუშაობის უნარიანობა. კონდუქტორად ღებულობენ ვინც შეხვდებათ.

ამათ არ აქვთ არავითარი მომზადება. თუ მსურველმა, შემთხვევით რამდენიმე კითხვაზე პასუხი მისცა—მას უკვე ღებულობენ კონდუქტორად. ის მიდის მატარებელში... ის ისეთ ალაგას მოუჭირს თავის რონოდას მუხრუჭს, რომ ეს იწვევს მატარებლის გაწყვეტას. ბევრი ამათგანი უფრო თავის კერძო საქმეებისთვის ზრუნავს, ვინემ რკინის გზისათვის და ამით ის აფერხებს რკინის გზის მწყობრ მუშაობას. ამიტომ საჭიროა ყოველი ახალი მუშა-მოხელის სამუშაოზე მიღების დროს მიექცეს მეტი ყურადღება მის მომზადებას და მუშაობის უნარიანობას.

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი არანორმალური მდგომარეობა დღევანდელი გარემოებისათვის.

ეს ის რომ, დამოკიდებულება დაბალ და მაღალ რკინისგზელებს შორის ვერ არის ისეთი, როგორიც შეეფერება დღევანდელ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

ჩვენი ადმინისტრატორები თავს წინანდებულათ მაღლა მწვერვალოზე წამომდგრად გრძნობენ. მედიდურად გადმოიყურებიან ზევიდან და ვერ ელევიან ძველ ჩინოვნიკურ ბიუროკრატიზმს. ეს გარემოება ცუდათ მოქმედებს ბევრ მუშებზე და ასე ხიდი ადმინისტრაციასა და მუშებს შორის ისევ გატეხილია.

ადმინისტრატორებისაგან გასაკვირალი არაა ასეთი ქცევა, მაგრამ რას ფიქრობენ ის პარტიული ამხანაგები, რომლებიც რკინის გზის საქმეებს სათავეში უდგანან?

აი ამათ მეტი მოეთხოვება. ამათ უნდა ქონდეთ კავშირი მასასთან. უნდა მართავდენ ხშირად საუბრებს წმინდა რკინის გზის საკითხების ირგვლივ. ასეთი საკითხები-კი მრავალზე მრავალია.

დავასახელოთ რამდენიმე:

იციან თუ არა რკინის გზის სათავეში მდგომმა ამხანაგებმა, რომ, როცა პატარა, დაბალი რკინისგზელის შე-

ცდომით მოხდება რაიმე უბედურება და გზა დაზარალდება, დამნაშავენი სასტიკათ ისჯებიან.

ხოლო როცა საქმეს აშავებს ვინმე ადმინისტრატორი, მას მართალია აძლევენ პასუხისგებაში, კიდევაც მიუსჯიან სასჯელს, მაგრამ სინამდვილეში ყველა ხედავს, რომ ეს „დიდრონები“ არ ისჯებიან და კიდევ უკეთეს ალაგზე წამოსკუპდებიან. მოიგონეთ წიფის დიდი უბედურება: დამნაშავენი პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი, მაგრამ დღეს ყველანი თავის ალაგზე არიან, ან კიდევ უკეთესზე.

ინჟენერი მინასიანი სასამართლომ დასაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთით, მაგრამ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ის უკეთეს ალაგზე დამდგარა სამმართველოში. ხოლო მემანქანეების, სადგურის მორიგეების და მეისრეების სასჯელი რჩება ძალაში.

ასეთ არანორმალურ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს. დასასჯელი უნდა დაისაჯოს ინჟენერია ის თუ მემანქანე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ჩვენი სამმართველო და მის შიგნით გამეფებული წესები.

მუდამ წელს ხდება აქ შტატის შემცირება, მაგრამ ამ დაწესებულებაში რაღაცა არაჩვეულებრივი ამბავია.

დაითხოვენ ხუთასს და მეორე თვეში მიღებენ ათას. ასე იზრდება, მრავლდება, დიდდება ეს დაწესებულება და უკვე აღარ ყოფნის შარშან აშენებული დიდი შენობაც და ალბათ ჩქარა საკითხი დადგება კიდევ ახალი შენობის ასაშენებლათ.

ვიმეორებთ მრავალია არანორმალური მდგომარეობა და მრავალიც იწერება ამის შესახებ ყველა გაზეთებში, მაგრამ სამწუხაროთ ყურადღება ნაკლებათ ექცევა.

ჩვენ კიდევ ერთხელ მოვაგონებთ რკინის გზის სათავეში მდგომ პარტიულ ამხანაგებს—მეტი ყურადღება აქეთ, მეტი კავშირი და დაახლოვება მასებთან, თორემ ადვილი შესაძლებელია ისინიც მოექცენ ბიუროკრატების ბრჭყალებში.

**რკინისგზელი.**

# საუბარი პროლეტარულ პოეზიაზე

## სანდრო ეული

ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის შუაგულში მოთავსებულია **„მე“** ანუ პიროვნება, კერძო: პირადი თაოსნობა, პირადი საქმიანობა, პირადი მისწრაფება, კერძო საკუთრება, პირადი განცდა, პირადი შემოქმედება, ერთის სიტყვით ყველგან და ყველაფერში პიროვნება არის წინ.

სულ სხვა არის, სრულიად სხვაა პროლეტარული მსოფლმხედველობა; აქ შუაგულში მოთავსებულია არა **„მე“** არამედ **„ჩვენ“**: საერთო ანუ კოლექტიური საქმიანობა, კოლექტიური ნებისყოფა, კოლექტიური საკუთრება, კოლექტიური განცდა, ერთის სიტყვით ყველგან და ყოველისფერში კოლექტიურია წინ.

როგორიღა უნდა იყოს პროლეტარული პოეზია?

უწინარეს ყოვლისა ის არ უნდა იყოს იმგვარი, როგორიც არის ბურჟუაზიული პოეზია.

ბურჟუაზიული პოეზია გვაძლევს პირად გრძნობას, პირად განცდებს, პირად ასახვას; ყოველივე მეობის სხივებით არის გაშუქებული.

წინააღმდეგ ამისა პროლეტარულმა პოეზიამ უნდა მოგვცეს კოლექტიური გრძნობა, კოლექტიური განცდა, **კოლექტიური** გაგება და **ასახვა;** აქ ყოველივე **ჩვენობის** შუქით უნდა იყოს განათებული.

საქმე იმაში არ არის, რომ პოეტი უგალობდეს ოქტომბერსა და წითელ დროშას.

პოეტმა უნდა გადაგვიშალოს კოლექტიური გული და მოგვასმენიოს კოლექტიური გალობა ოქტომბერისა და წითელი დროშისა.

ეს არის მთავარი.

ეს მთავარი კი ჩვენს პროლეტარულ პოეზიაში არ არის, ან არის მეტად მკრთალად.

პროლეტარულ პოეზიაში უნდა ჰუგუგუნებდეს: **ჩვენ.**

ქართულ პროლეტარულ პოეზიაში კი ჯერ უფრო მძლავრად ისმის: **მე.**

სანდრო ეული ამ მხრივ გამონაკლის წარმოადგენს; იმის პოეზიაში უფრო მძლავრად არის მოცემული კოლექტიური განცდა, კოლექტიური ნებისყოფა, ვიდრე პიროვნული.

1917 წლამდე ეულის პოეზიაში პროლეტარული პოეტი არა სჩანს,—აქ არის მხოლოდ მებრძოლი პოეტი. ისა ჰხადავს ტანჯული ხალხის ცრემლებს, ასეთს ცხოვრებას ვერ ურიგდება და თავის არსებაში გრძნობს მებრძოლის ძალასა და ღონეს.

1917 წლიდან კი მისი პოეზია უფრო გარკვეულ სახეს ჰღებულობს. აქ ჩვენს წინაშე დგას უკვე ჩამოყალიბებული პოეტი, რომელმაც იცის, თუ რისთვის და ვისთვის იბრძვის.

ამ ორ ხანას თავისი შემოქმედებისას თვითონ პოეტი ახასიათებს მოკლედ და მკაფიოდ:

შობილი ცეცხლში მოვინათლე მე
ოქტომბერში.

სანდრო ეულის პოეზია გაიშალა მებრძოლი კომუნიზმის ხანაში. ამიტომ პოეტის შემოქმედებაშიაც ბრძოლასა და ცეცხლს დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

და მეც ეული
ცეცხლად ქცეული.
ცეცხლის რაშით ვარ
გატაცებული.

ბრძოლის მგოსანი ეულის პოეზიაში ბარიკადებში ზის და თან იბრძვის, თან ბრძოლის ჰანგებსა თხზავს:

„ბარიკადებში თხზავს სიმღერებს
ბრძოლის ანგებზე“.

სანდრო ეულის პოეზიაში არის სევდა, მაგრამ არ არის გოდება და უიმედობა; მას ახასიათებს სრული სიმშვიდე, სიდინჯე, შეურყეველი რწმენა და ერთგვარი მზიურობა:

„ბრძოლის ქარცეცხლში მზიურობა მას ანეტარებს“.

მებრძოლი კომუნიზმი ცეცხლის რაშებით მოვარდნილი გრიგალი და მეხია. პოეზიაში მისი ასახვა მეტად ძნელია; ჩვენში ჯერ ეს ვერცერთმა პოეტმა ვერ შესძლო; ვერ მოერია ამ თემასაც სანდრო ეული. ამიტომ მისი სტრიქონი:

„ცაში ცეცხლს ვანთებ და
მიწაზე ვაგორებ მზესა“.

თავის თავად ლამაზად გამოთქმულია, მაგრამ სინამდვილეს კი არ შეეფერება. ამ სიტყვებში მეტად დიდი შინაარსია, დიდი ქადილი; სანდრო ეულს კი საამისო ძალა არ შესწევს.

პოეტს უყვარს კოლექტიური შრომა, რადგანაც ასეთს შრომაში იჭედება პროლეტარული შეგნება და რწმენა.

ამიტომ ეულის პოეზიაში ბრძოლის სიძლიერეს ცვლის შრომის ჰიმნი.

და რადგანაც კოლექტიური შრომის ასპარეზი ქარხანა არის, სანდრო ეულის შემოქმედების მეორე საფეხურს ქარხნის სიმღერა ახასიათებს.

ქარხნის ჰანგები განსაკუთრებულის სიყვარულით არის გამთბარი. აქ არის სევდაც, ოფლიც, მძიმე ხვედრიც, ბრძოლა, ტანჯვა და ყოველივე ამის გვერდით პროლეტარული ერთობა, სულის გაკაჟება, ბრძოლა და შეურყეველი რწმენა.

„რომ ჩვენ მსოფლიოს ბედს
აქვე გამოვჭედდით“.

მანქანების ხმაურში პოეტი ისმენს თავისებურ სიმფონიას, რომლის ათვისება და შეგნება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც მანქანების ხმაურს შეეთვისა და ქარხანას, ეშვილა. ქარხნის ჰანგებში გამოირჩევა მჭედლის სიმღერა და ქარხნის კონცერტი, პირველი—თავისი დასრულებული ლამაზად გამოკვეთილი სურათით, მეორე—თავისი

ორიგინალობით: ქარხანა წარმოადგენს ორკესტრს, მანქანების ხმაური კი სიმფონიის შესრულებას.

ზოგიერთ პოეტს ჰგონია, თითქოს სიტყვების რახარუხით შესაძლებელი იყოს თანამედროვე ცხოვრების გამოხატვა. არის გახურებული სიტყვების კორიანტელი, შინაარსი კი—გოდორფშუტა.

სანდრო ეულს ეს ნაკლი არა აქვს; ის რევოლიუციის ქარცეცხლშიაც ზომიერია, დინჯი, თავდაჭერილი და წრფელი.

„კომუნისტური მანიფესტი“-ს სიტყვებში პროლეტარებს სამშობლო არ გააჩნიაო, ბევრმა სამშობლოს სრული უარყოფა დაინახა.

ეს არ არის მართალი.

სამშობლო ბურჟუაზიული გაგებით მიუღებელია, მაგრამ პროლეტარიატი ყველგან ქმნის საკუთარ სამშობლოს და მისი მიზანია, მთელი მსოფლიო გადააქციოს მხოლოდ პროლეტარიატის სამშობლოდ.

დიდი რუსეთის ტერიტორია წარმოადგენდა თავადების, ბურჟუების, ბიუროკრატების, ეპისკოპოსების სამშობლოს.

პროლეტარიატმა განდევნა ყველა ეს მუქთახორა და ახლა თვითონ აშენებს ამ ტერიტორიაზე საკუთარ სამშობლოს.

სანდრო ეულს ახასიათებს ასეთი გაგება პროლეტარული სამშობლოსი; ეს კი მეტად იშვიათი მოვლენაა პროლეტარულ პოეზიაში.

ყური დაუგდოთ თვით პოეტს.

„მშობელი მხარე ჩემზე ძლიერ ვის ეყვარება?
ფარჩის კაბა[illegible] არ მოვირთავდი ვით დედოფალსა,
არ შევფიცავდი ერთგულებას მის მთა და ბარსა,
რომ მას არ სურდეს თავის კალთებში ჩემი ტარება.
თუ ულრანი ტყე, მთები, კლდენი გადავიარე
და ოკეანე მხარულითა გადმიცურავს,
რომ მზე მენახა, თავიც ტანჯვის ღრუბელით
მიბურავს,
ოლონდ იშვებდეს მზიურობით მშობელი მხარე!
და დღეის იქით ჩემი სულიც
მისთვის სულობდეს!

—:—

ჩემი სამშობლო მუდამ უნდა გაზაფხულობდეს
და ცისმარე დღე მზიურ სიტყვით მას ვეუბნები:
უნდა აჰყვავდეს დასისხლული შენი უბნები“.

აი აქ არის პროლეტარული შეთვისება სამშობლოსა და ინტერნაციონალისა.

სანდრო ეულის პოეზიის ფორმა ბევრში წააგავს ვალერიან გაფრინდაშვილის ფორმას.

უკანასკნელს უყვარს წმინდა, მარტივი ასონანსი: პროფილით — დალბობილი, ჩინგისხანები—მრისხანებით, ჩირაღი—ბაირაღები და სხვ.

ამგვარივეა სანდრო ეულის ასანანსებიც: ლტოლვას—ქროლვა, გათენებას—განჩინება, ქარხანას—ხანა, ხელით—მხნელი, ქნარათ—კმარა და სხვ.

პოეტის ლექსებში შეხვდებით ზოგიერთ მცნებას, რაც პროლეტარულ პოეზიაში დაუშვებელია:

გწამდეთ ღმერთად, მიზანი ჩვენი ვისახეთ ღმერთად, ერთად მივადგეთ სამოთხის კარებს, კოშკს ვაშენებთ, კოშკს ტაძრიანს, ლოცვა ჩვენი სივრცეს ბზარავს, და სწორი ვარ ღმერთთან, ვიცოდეთ ყველამ: სული ორია და სხ.

მართალია პოეტი ჩვეულებრივის გაგებით არ იღებს ამ სიტყვებს, მაგრამ მაინც არ უნდა ჰქონდეს ადგილი პროლეტარულ პოეზიაში არც ღმერთს, არც ტაძარს, არც ლოცვას, არც სამოთხესა და არც სულს.

**ივ. გომართელი.**

# ცოტა რამ სახელმწიფო კინომრეწველობაზე

ყველასათვის უდავოა, რომ კინო-მრეწველობას ყოველმხრივ უაღრესი მნიშვნელობა აქვს, შეიძლება ითქვას, რომ ამ ფრონტზე კინომ არამც თუ დაჩრდილა ჩვენი თანამედროვე თეატრალური შემოქმედება, არამედ მას საბედისწერო ომიც გამოუცხადა. სიამაყით უნდა ავღნიშნოთ, რომ კინო-მრეწველობას საქართველოს თანამედროვე ცხოვრების სინამდვილეში ფხიზელი ყურადღება აქვს მიქცეული. გული სიამით გევსება, როცა ჩვენი საზოგადოებრივი ყურადღება ეპყრობა კინო-მრეწველობის გიგანტიურ განვითარებას, როცა ხედავ, რომ პლეხანოვის გამზირზე შენდება კინო-ქალაქი, მაგრამ ამავე დროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ იქ, სადაც კეთდება დიდი საქმე, არ შეიძლება არ იქნას დაშვებული პატარა, მაგრამ მეტად საგულისხმო შეცდომაც-კი.

ერთი მთავარი ნაკლი ის არის, რომ, საქართველოს მდიდარი კუთხის ღირსშესანიშნავი ადათ-ჩვეულების, ცხოვრების კინოზე გადაღებას ნაკლები ყურადღება ექცევა. ქართული კინო-სურათი ამ მიმართულებით ძლიერ მცირეა. სამანიშვილის დედინაცვალი—(იმერეთის ცხოვრებიდან), ორი მონადირე (კახელების)—ვინ არის დამნაშავე (გურიის, მაგრამ ამავე დროს კი ქართლი, ეს საქართველოს გული სრულიად მივიწყებულია. ასევე მივიწყებულია ძველი მესხეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარისტანი და სხვა. ამავე დროს, საქართველოს კინომ გადაიღო: გიული, ბელა, იბრაგიმი, ამზადებს გადასაღებად ასეთივე შინაარსის სურათებს: „ხაზის — (მთიელ მუსულმანთა ცხოვრებიდან). ხოლო სამუსლიმანო საქართველო, აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკა სრულიად მივიწყებულია. თითქოს ის არც კი იყოს საქართველოს ორგანიული სხეული, მისი ცხოვრების ჭირისა და ლხინის თანამედროვე მოძმე.

ჩვენ ვიცით, რომ აჭარისტანი მუსლიმან ქართველებით არის დასახლებული, მისი ბუნება მეტად თვალწარმტაცია და მიმზიდველი, მაგრამ ამავე დროს, იქაურ მკვიდრთა ადათი, ზნე-ჩვეულება მრავალმხრივ საყურადღებოა და ღირსშესანიშნავი. აჭარა, რომელმაც მხოლოდ საბჭოთა ცხოვრების ეპოქაში დაეწაფა კულტურას, მათთვის მახლობელი სურათის ჩვენება, უაღრესად რომ ხელს შეუწყობდა მათს კულტურულ განვითარებას, ზნეობრივ და პოლიტიკურ დონის ამაღლებას. ასევე უნდა ითქვას, აფხაზეთსა და ოსეთზეც. მაშასადამე, დროული და სასურველი იქნებოდა, რომ ჩვენს კინო-მრეწველობას აჭარის და ქართლის ცხოვრებისათვის მიექცია ჯეროვანი ყურადღება.

გარდა ამისა, ყურადღების ღირსია კინოს სხვა მხარეც. თანამედროვე კინო როდი უნდა იყოს მარტო ლამაზ ბანოვანთა სანავარდო ეკრანი, არამედ ის უნდა გახდეს აგრეთვე სამისწავლო, სამეცნიერო გონების განვითარების ტაძარიც. როცა კინო - მრეწველობა ჯერ კიდევ არ იყო ეგზომ განვითარებული, მაშინ სახალხო, სამეცნიერო და სამეურნეო საუბარ-ლექციებს ბუნდოვანი ( ჯადო-ფარანი) სურათების ჩვენებით აწყობდენ. დღეს ბუნდოვანი სურათები შესცვალა ნათელმა კინომ. მიღწევა მეტად დიდია და კინოს ეს დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიიჩქმალოს, ის უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მეურნეობის ასაღორძინებლად. სამწუხაროდ, ჩვენი კინო-მრეწველობა კი ჯერ-ჯერობით ვერც ერთ სურათს ვერ დაგვისახელებს მის მიერ გადაღებულს, რომლის გამოყენება შეიძლებოდეს სკოლებსა და სახალხო საუბრების დროს. ამ მხრივ, ჩვენს კინოს დიდი სამკალი აქვს. მან უნდა გვაჩვენოს აგრეთვე ჩვენი გლეხური სასოფლო განვითარება და მისი ინტენსიური რაციონალური წინსვლა.

ვიმეორებთ, კინო-მრეწველობის განვითარებამ, მისმა დადებითმა მხარეებმა, ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში, მიიქცია საზოგადოებრივი ყურადღება, მაგრამ იქ, სადაც კეთდება დიდ მნიშვნელოვანი საქმე, არ შეიძლება არ იყოს დაშვებული პატარა შეცდომები, რაზედაც შემდეგისათვის კვლავ მოგეხსენება პატარა, მაგრამ საქმიანი შენიშვნები.

**ა. ვადაჭკორია.**

# საკლუბო მუშაობის ირგვლივ

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეათე წელს მუშათა კლუბების მნიშვნელობაზედ ლაპარაკი ზედ მეტია. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს ის დიდი დანიშნულება, რომელიც მუშათა კლუბებს აქვთ დაკისრებული მშრომელი მასის აღზრდა გათვითცნობიერების საქმეში.

მაგრამ სავსებით, რომ ვერ ამართლებენ ამ დიდ დანიშნულებას ჩვენი კლუბები ესეც უდაოა და ეს დაუფარავათ უნდა იქნას აღიარებული. ამას აქვს თავისი მიზეზები, რომლების ერთბაშათ მოსპობა ძალიან ძნელია. ეს მიზეზებია მატერიალური უსახსრობა უპირველესად და შემდეგ მისგან გამომდინარე სხვა მიზეზები, როგორიც არის, მაგალითად შესაფერისი და სამყოფი შენობებისა და ბინების უქონლობა, ტეხნიკური მოუწყობლობა, საკლუბო მომუშავეთა შესაფერისი კადრის უყოლობა და სხვა. მაგრამ მე მინდა აქ შევეხო ერთ-ერთ ასეთ მიზეზთაგანს, რომელსაც ადგილი აქვს თითქმის ყველა კლუბებში და რომლის მოუწესრიგებლობასაც დიდი ზიანი შეუძლია მიაყენოს ჩვენს საკლუბო მუშაობას, თუ მას დროზედ არ ექნა შესაფერისი ყურადღება მიქცეული.

საკლუბო მუშაობაში დღევანდელ ჩვენს სინამდვილეში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დრამატიულ წრეებს. ზოგიერთ კლუბში, განსაკუთრებით თბილისის განაპირა უბნებში და პროვინციებში კი ყველგან, დრამატიული წრეები უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა ჩვენს მუშათა კლუბში. ეს აიხსნება უმთავრესათ იმითი, რომ განაპირა უბნებში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეებს არ აქვთ საშუალება აკადემიურ თეატრში იაროს და იქ მოისმინოს მხატვრულათ დადგმული წარმოდგენები. სურვილი და მოთხოვნილება კი აქვს ამისი. ამიტომ ის მოდის მახლობელ კლუბში, რომ სხვა გონებრივი საზრდოსთან და გართობასთან ერთად ნახოს და მოისმინოს ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთაგან შემდგარი დრამატიულ წრის მიერ დადგმული საღამო-წარმოდგენა. ჩვენი დრამწრეებიც არ ზოგავენ შრომასა და ენერგიას, რომ ღირსეულათ ემსახურონ კლუბის მასას, მაგრამ სხვა მრავალ დაბრკოლებასთან ერთად მათ წინ ელობებათ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი მიზეზი. ეს არის **რეპერტუარი.**

დიდი ისტორიული და კლასიური ხასიათის პიესებისათვის ჩვენს კლუბებში არც ძალებია და არც ტეხნიკური პირობები, შეიძლება საუკეთესო შინაარსის დიდი და რთული პიესა ჩვენი კლუბების სინამდვილეში ისე უხეიროთ იქნას დადგმული, რომ თვით პიესაც დამახინჯდეს, წრის წევრებსაც გული აუცრუვდენ მუშაობაზედ და საკლუბო მასაც უკმაყოფილო დარჩეს და თანდათან ჩამოშორდეს კლუბს. ამიტომ ძალიან ფრთხილათ უნდა იყვნენ ასეთ შემთხვევაში ჩვენი კლუბის მომუშავენი. კლუბისათვის საჭიროა პატარა პიესები, რომელიც იდეოლოგიური მხრივ მისაღები იქნება მუშებისათვის და მისი შესაფერისათ დადგმაც შესაძლებელი იქნება ტეხნიკური მხრივ და ძალების მიხედვითაც. ასეთები კი ძალიან ცოტა არის. სამწუხაროთ ქართულ ენაზედ ძალიან იშვიათია საკლუბო პიესები. რა თქმა უნდა ამას თავის მიზეზები აქვს. ჩვენი ახალგაზრდა პროლეტარული მწერლები და დრამატურგები ჯერ იმდენათ წელ მომაგრებულნი ვერ არიან, რომ შესძლონ სამყოფი თანამედროვე მასალების მოწოდება. ძველი დრამატურგების გულს კი, სამწუხაროთ, ვერ მოხვდა ის ბრწყინვალე სხივები, რომელმაც ოქტომბერში ამოაშუქა, მათი გაყინული გრძნობა ვერ გალხვა პროლეტარული რევოლიუციის ძლევამოსილებით და მცირეოდენის გამოკლებით არც ერთი მათგანი არ ცდილა დრამატიულ მხატვრულ ფორმებში აეკინძა ის ეპიზოდები და სურათები, რომლითაც ასე მდიდარია დღევანდელი ცხოვრება. ზოგიერთების სასირცხვოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აგერ მეშვიდე წელიწადში გადავლექით და ქართველ დრამატურგების მიერ არც ერთი დროს შესაფერი სერიოზული ხასიათის ნაწარმოები არ დაწერილა და ეს იმ დროს, როცა ჩვენი ცხოვრება აურაცხელ მასალას იძლევა ამისათვის. ვიმეორებ ამის მიზეზები ღრმაა და ამ საკითხს არ გვინდა შევეხოთ ახლა ვრცლად.

რჩება ერთად-ერთი გამოსავალი: ჩვენმა მუშათა კლუბებმა უკვე არსებულ ორიგინალურ თუ ნათარგმ პიესებიდგან უნდა აარჩიონ კლუბისათვის შესაფერისი და გამოსადეგი პიესები, რომელთა დადგმის საშუალებას იძლევა ამა თუ იმ კლუბის პირობები ისე, რომ ხალტურა არ გამოვიდეს. აგრეთვე პიესა დაახლოვებით მაინც უნდა ეხებოდეს და არკვევდეს ერთ-ერთ რომელიმე საჭირ-ბოროტო საკითხს. როცა მუშა ერთ საღამოს ატარებს კლუბში და 3-4 მოქმედებიან პიესას უსმენს, ერთ რომელიმე საჭირ-ბოროტო კითხვაზე მაინც უნდა მიიღოს გარკვეული პასუხი პიესის საშუალებით.

ეს კი ჩვენი კლუბების სინამდვილეში ზოგიერთი გამოკლებით ასე არა ხდება. ავიღოთ პლეხან. სახელობის კლუბი ლენინის რაიონში. ეს ერთად-ერთი კულტურული გასართობი ადგილია ისეთ დიდ მუშათა რაიონში, როგორც ლენინის უბანია. ამ კლუბს ყავს ქართული დრამწრე, რომელიც ძველი სცენის მოყვარეთაგან შესდგება ნაწილობრივ და სისტემატიურათ სდგამენ წარმოდგენებს. მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ამ კლუბის ქართული სექტორის მუშაობა სრულიად გადასცდა ჭეშმარიტ გზას. ზედიზედ იდგმება ისეთი რთული და იდეოლოგიურათაც შეუფერებელი პიესები როგორც: ლამარა, ბორის გადუნოვი, მეფე არლეკინი და სხვა. ამის შესახებ რამდენჯერმე იყო აღნიშნული ჩვენს პრესაში, მაგრამ მდგომარეობა გამოუსწორებელი რჩება. არ ვიცით რატომ შესტოპა წრის ხელმძღვანელმა მოქ. ბებურიშვილმა ასე შორს ამ უცხო პიესებში და თუ მას თავისი მხატვრული ნიჭი უნდა გვაჩვენოს რას აკეთებს გამგეობა და ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებიც თავის მუშაობით დაკავშირებული არიან კლუბის საქმიანობასთან? რაში საჭიროება ჩვენს მუშებს ბორის გოდუნოვი, ლამარა, მეფე არლეკინი და სხვა ასეთები, როცა ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდგან აღებული, ჩვენი ყოფაცხოვრების სურათები პიესებათ ჩამოსხმულიც მოიპოება ისეთი, რომ სცენაზე შეიძლება დაიდგას და მისაღებია.

ჩვენ პირდაპირ განცვიფრებული დავრჩით როცა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზედ ამხ. კუპრაშვილმა ქებადიდება შეასხა ამ კლუბში მეფე არლეკინის დადგმას. მართალია ქების ღირსნი არიან ის მუშები, რომლებიც ყოველდღიურ შრომის შემდეგ კულტურულ მუშაობას აწარმოებენ, მაგრამ თუ ამ მუშაობას ნაყოფი არ მოაქვს და შრომა-ენერგია უმიზნოთ იხარჯება ჩვენი მოვალეობაა გულწრფელი მითითება სწორ ხაზისაკენ და არა გადამლაშებული ქება, რომელსაც შეუძლია საქმეს ზიანი მოუტანოს. დასაშვებია გასამხნევებლათ წაქეზება ვისიმე, მაგრამ არც ისე უკიდურესობაში გადავარდნა ვარგა, როგორც ამხ. კუპრაშვილს მოსდის და ჩვენს კლუბებში მომუშავე ყველა სცენის მოყვარეში ნიკო გოცირიძეებს ხედავს...

რატომ არ მოიხედა ამხ. კუპრაშვილმა უკან და ვერ შეამჩნია, რომ კვირა დღეს მშვენიერ ამინდში ქართულ წარმოდგენაზედ პლეხანოვის კლუბში უკანა რიგები ცარიელი იყო, რაც წინათ თავის დღეში არ ყოფილა. ეს კი იმის ბრალია, რომ ასეთი პიესების დადგმა მოდაათ შემოიღეს აქ.

დროა ვისგანაც ჯერ არს იფიქრონ საკლუბო რეპერტუარზედ საერთოდ და კერძოთ კი ანგარიში გაუწიონ პლეხანოვის კლუბში შექმნილ მდგომარეობას.

**ყარაიუსუფ.**

**სარედაქციო კოლეგია.**

ალმასკოპის სტამბა, კამოს ქ. № 68.